ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲨᲝᲑᲐ-ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ!

აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№144 (25.024) შაბათი, 31 დეკემბერი, 2022 წ. - 9 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲝᲑᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ᲙᲠᲘᲐᲚᲝᲡᲐ N ᲘᲣᲡᲘ

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად, ქვეყანას მიყოლებით აქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა. „ეკონომიკურ ზრდასა და სხვადასხვა სექტორს როცა ვუყურებთ, ერთ-ერთი განმაპირობებელია სატრანსპორტო დასაწყობების მომსახურება, სადაც მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს, იმიტომ, რომ ჩვენს დერეფანში ტვირთნაკადი გაიზარდა. ასევე, ტურისტული ნაკადების სწრაფი აღდგენა მოვახერხეთ. ქვეყანამ 3.2. მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო“, - აღნიშნა მინისტრმა.

* * *

ცესკოს თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობებზე ასარჩევად პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული კანდიდატურები პარლამენტის ბიუროს წარედგინა და საკითხი განსახილველად იურიდიულ კომიტეტს გადაეცა. სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი შაიშმელაშვილისა და ნანული ბებიას, ხოლო ცესკოს წევრის ერთ თანამდებობაზე - რუსუდან ქურდიანისა და თამაზ ფოლადაშვილის კანდიდატურები შესთავაზა, ცესკოს წევრის კიდევ ერთ თანამდებობაზე კი კონკურსი გამოცხადდა. ხელახალი წარდგენა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც პარლამენტმა ყველა წარდგენილი კანდიდატურა ჩააგდო.

* * *

მიმდინარე წლის განმავლობაში საპარლამენტო და საკომიტეტო სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენების გამო, დეპუტატებისთვის ხელფასიდან დაქვითული თანხა 80 ათასი ლარია. პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებით, დაქვითული ხელფასი საქველმოქმედო ღონისძიებებს მოხმარდება. პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა, რომ 80 ათასი ლარიდან 77% ოპოზიციონერ დეპუტატებზე მოდის, რაც, დაახლოებით, 60 ათასი ლარია.

* * *

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი დავით ფაცაცია, პირველ მოადგილესთან და სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ესტუმრა, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და საახალწლო ნობათები გადასცა. აფხაზეთის მთავრობის ინფორმაციით, აღნიშნული სამინისტროს ორგანიზებითა და აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით, საახალწლო ნობათები საქართველოს მასშტაბით, აფხაზეთიდან დევნილმა 800-მდე პირმა მიიღო.

მოამზადა
ია შველიძემ

„ᲛᲐᲒᲜᲝᲚᲘᲐ 2022“ – ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲝᲚᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲜ

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲩᲐᲙᲘᲫᲔ 593 10 15 17

ბათუმის დრამატულ თეატრში „მაგნოლია 2022“-ის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, სადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა რეგიონში საუკეთესო ტურისტული სერვისის მიმწოდებლები გამოავლინა და დააჯილდოვა.

ღონისძიება დეპარტამენტის მუშაობის 2022 წლის ანგარიშით გაიხსნა. დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძემ სტუმრებს მათ მიერ განხორციელებული პროექტები და ტურიზმის მიმართულებით რეგიონის მიღწევები გააცნო. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი „მაგნოლიას“ დაჯილდოების ღონისძიებას 2015 წლიდან ატარებს. როგორც თინათინ ზოიძემ აღნიშნა, მისი მიზანი ტურისტული სექტორის წახალისება და რეგიონში სერვისის გაუმჯობესებაა. რეგიონში მაღალი სერვისის მიმწოდებელი ტურისტული ობიექტების გამოსავლენად დეპარტამენტი ტურისტებისა და სექტორის შეფასებებს იყენებს.

ტურიზმის სფეროში 2022 წელი ჩვენი რეგიონისთვის გამორჩეული იყო. ბათუმმა წელს ორი პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა. „Wold travel awards“-ის ევროპის ჯილდოს შემდეგ, ჩვენმა ქალაქმა წელს ტურიზმის „ოსკარი“, ამჯერად უკვე როგორც „სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ“ მოიპოვა. ბათუმმა მსოფლიოს დაჯილდოების ცერემონიაზე ისეთ ქვეყნებს გაუწია კონკურენცია, როგორიცაა საფრანგეთი, იაპონია, კოლუმბია, ბულგარეთი და ჩრდილოეთ ირლანდია. ეს პირველი ჯილდოა, რომელიც მან ტურიზმის „ოსკარის“ მსოფლიო დაჯილდოების ცერემონიაზე მიიღო, რაც ძალიან დიდი განაცხადი და პასუხისმგებლობაა ჩვენი ქალაქისა და ქვეყნისთვის.

- საერთაშორისო მიღწევების, ტურიზმის აღდგენისა და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებული წელი გვქონდა აჭარაში. სასიხარულოა, რომ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გველოდება. როგორც იცით, წელს ოფიციალურად დასახელდა ბათუმი „Wold travel awards“-ის ევროპის დაჯილდოების ცერემონიის მასპინძელ ქალაქად, რაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ჩვენთვის. დღეს ვაჯამებთ მიმდინარე წელს, ამასთან, სექტორს ვაცნობთ ყველა იმ გეგმას, სტრატეგიას, პრიორიტეტს, რომელზეც მომავალ წელს მათთან ერთად ვიმუშავებთ. მნიშვნელოვანია ასევე, რომ კონკრეტულად ამ ღონისძიების ფარგლებში გამოვლინდა ის წარმატებული ბიზნესები და სერვისები ტურიზმის დარგში, რომელიც თავად სექტორმა და ვიზიტიორებმა აირჩიეს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვემადლიერებით ყველა პარტნიორს, ტურისტულ სააგენტოს, ობიექტსა და ბიზნესის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, ვინც მუდმივად, მთელი წლის განმავლობაში ჩვენი რეგიონის პოპულარიზაციაში შეიტანა წვლილი, დაეხმარა ტურიზმის დეპარტამენტს მუშაობაში და პრიორიტეტების განსაზღვრაში, - აღნიშნა თინათინ ზოიძემ.

რეგიონის წარმატებებზე ისუბრა და დეპარტამენტს მომავალ საქმიანობაში მთავრობის მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ. როგორც თორნიკე რიყვაძემ აღნიშნა, ჩვენი რეგიონი ოთხივე სეზონზე მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად გადაიქცევა ვიზიტიორებისთვის.

იხ. გვ-2 გვ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲔᲑᲘ 3

ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲓᲐ 2022 ᲬᲔᲚᲡ? 6

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲓᲒᲐ 4

«ᲩᲔᲛᲘ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ», ᲐᲜᲣ ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ 7

მუსიკალური ცენტრის შოუპროგრამა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში წლის შემაჯამებელი მუსიკალური საღამო გაიმართა. საზეიმო ღონისძიებაზე ადგილობრივმა ახალგაზრდა მომღერლებმა სხვადასხვა ჟანრის კომპოზიციები ინდივიდუალურად და ერთობლივად შეასრულეს

იმ საღამოს დარბაზს არ ჰყავდა მომსახურე პერსონალი - ყველა მსმენელის როლში მოგვევლინა. კაპელდინერები, რომლებიც სამუშაო კოსტიუმებში გამოწყობილები მაყურებელს ყოველთვის თავაზიანად ემსახურებიან, თავად იყვნენ მაყურებლები და კარგადაც იხალისეს.

მუსიკალურ ცენტრში შოუ-პროგრამა წარმოგვიდგინეს ახალგაზრდა ბათუმელმა მომღერლებმა. მათ შორის იყვნენ სალომე მირიანაშვილი, ნანუკა მიქაძე, თამთა ხუხუნაიშვილი, გიორგი ბერიძე, აჩიკო გოგიტიძე, ნიკო ბერიძე, სულხან დევაძე, ანრი გუჩმანიძე, მორის მელაძე, სანდრო კურცხალიძე.

ფოიეში ასეთი მხიარული და საინტერესო საღამო ჯერ არ გამართულა, აქვე მოეწყო სცენა, აციმციმდა საახალწლო ნაძვის ხე.

- სასიხარულოა, რომ მუსიკალურმა ცენტრმა გადაწყვიტა, წინასაახალწლოდ შეეკრიბა ბათუმელი მომღერლები. ყველას გაგვიხარდა, რადგან გვენატრება ერთმანეთი. ერთად შევაჯამეთ გასული წელი, ცენტრის ხელმძღვანელობამ საშუალება მოგვცა, ბათუმელები მოვფერებოდით ერთმანეთს. უშუალო გარემოა, ისეთი შეხვედრაა, ბათუმს რომ უხდება, - გვითხრა აჩიკო გოგიტიძემ.

- ასეთი საღამოს ჩატარებისთვის მუსიკალურ ცენტრს მადლობას ვუხდი - ერთად შეგვკრიბა სხვადასხვა ჟანრის მუსიკოსები. ძალიან გვიხარია, ახალი წელი ბათუმში ყველაზე პირველებმა, ალბათ, ჩვენ „მოვიყვანეთ“. ვულოცავ თქვენს მკითხველებს, პირადად თქვენ, დამდეგს, - გვითხრა ღონისძიების თანაორგანიზატორმა, მომღერალმა ნიკო ბერიძემ.

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მთავარმა ადმინისტრატორმა ჯაბა სალუქვაძემ 2022 წელი ნაყოფიერად შეაფასა. მისი თქმით, ხელოვნების ცენტრმა წარმატებით არაერთ სპექტაკლს, მუსიკალურ და სალონურ საღამოს უმასპინძლა.

- დახუნძლული იყო 2022 წელი ბათუმის მუსიკალურ ცენტრში - გაიმართა ჩვენი სპექტაკლები, კონცერტები. ბევრი სტუმარიც გვეწვია საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ახლა ჩვენთან სეზონის ბოლოა და გვინდოდა, შინაურული, კორპორატიული შეხვედრების მსგავსი, მცირე მაყურებლით, მაგრამ თბილი, სანახაობრივად ლამაზი საღამო გაგვემართა, შეგვეჯამებინა განვლილი წელი. ბათუმელი ახალგაზრდა მომღერლები მოვიწვიეთ და ვფიქრობთ, ყველამ ისიამოვნა. თანამშრომლებს მივულოცეთ ახალი წელი. მომავალი წლიდან ახალ პროექტებზე ვიწყებთ მუშაობას, იანვარი უფრო ტექნიკური სამუშაოებისთვისაა განკუთვნილი. რაც მოსაწესრიგებელია, იმაზე ვიზრუნებთ, რომ თებერვლიდან განვაახლოთ მუსიკალური ცხოვრება. დაგეგმილია საოპერო სპექტაკლები, მათ შორის ერთ-ერთი, ქართული საღამო იქნება. 2023 წელს მნიშვნელოვან თარიღებსაც აღვნიშნავთ. მთელი ზაფხული უკვე გაწერილია. ვფიქრობთ, კიდევ უფრო ნაყოფიერი და დატვირთული წელი გვექნება, რითაც მსმენელს გავახარებთ, - თქვა ჯაბა სალუქვაძემ.

- დიდი მადლობა ჩვენს დირექციას და ადმინისტრაციას, რომ ასეთი თბილი საღამო გვაჩუქა. თანამშრომლები კონცერტზე მაყურებლის სტატუსით მოგვიპატიჟეს, ძალიან ვიხალისეთ, - გვითხრა მუსიკალური ცენტრის უფროსმა კაპელდინერმა ნანა მაკალათიამ.

სტუდენტური „ინტელექტმარათონი“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის საზღვაო აკადემიის კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, სასტუმრო „ჰილტონში“ საქართველოს სტუდენტური „ინტელექტმარათონი“ ჩატარდა, რომელშიც გუნდები სხვადასხვა ქალაქიდან მონაწილეობდნენ, მათ შორის, თბილისის ავიაციის უნივერსიტეტიდან, ბათუმის ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან. მარტო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ექვსი გუნდით იყო წარმოდგენილი

როგორც „ინტელექტმარათონის“ წამყვანმა, ბსუ-ს პროფესორმა გიორგი მასალკინმა გვითხრა, მანამდე ასეთივე თამაშები ბათუმის უნივერსიტეტში ჩატარდა და იქ წარმატებულმა ექვსმა გუნდმა ამ შემაჯამებელ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. ბსუ-ში უკვე არაერთი წელია, საშემოდგომო და საგაზაფხულო თამაშები - „ბსუ-ს ინტელექტუალი“ ტარდება, რომელშიც 30-30 გუნდი მონაწილეობს. მასში ბაკალავრები, მაგისტრები, ასევე დოქტორანტებიც მონაწილეობენ. რაც შეეხება საქართველოს სტუდენტთა ამჟამინდელ „ინტელექტმარათონს“, ბათუმის უნივერსიტეტის ექვსი გუნდიდან სამმა სამივე საპრიზო ადგილი აიღო. ისინი სიგელებით, წიგნებით, კალმებით დაჯილდოვდნენ.

ბსუ-შიც და საზღვაო აკადემიაშიც ამ ტურნირებს ყოველთვის გვერდით უდგას, ამავე სასწავლებლების კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურები.

როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ასეთი მასშტაბური თამაშები ბათუმში დიდი ხანია არ გამართულა. ეს ერთდღიანი ტურნირი გახლდათ, რომელზეც 88 შეკითხვა დაისვა. მისი ავტორი ფარსევან ჯორბენაძე გახლავთ, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა არა მხოლოდ აჭარის, არამედ საქართველოს მასშტაბით. პროფესიით ეკონომისტი ფარსევან ჯორბენაძე საზღვაო აკადემიის წარმომადგენელია, სწორედ ის ატარებს საზღვაო აკადემიაში მსგავს ტურნირებს.

როგორც კი უმაღლეს სასწავლებლებში არდადეგების შემდეგ სწავლა განახლდება, ინტელექტუალები ახალ სეზონს დაიწყებენ. სხვათა შორის, ამ თამაშებში საჯარო სკოლების უფროსკლასელი ინტელექტუალებიც მონაწილეობენ, რომელთა შორისაა ბათუმის №1, 2, 3 საჯარო სკოლები, სკოლა „ევრო 2000“. როგორც გიორგი მასალკინმა გვითხრა, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ამ რამდენიმე ხნის წინ გამართულ თამაშებში ბათუმის მესამე საჯარო სკოლის გუნდმა, რომელიც 30 გუნდს შორის საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

ჟიურიში გიორგი მასალკინის გარდა იყვნენ ეკატერინე ჩხარტიშვილი და არჩილ არომელაძე.

„მაგნოლია 2022“ – აჭარაში საუკეთესო ტურისტული სერვისის მიმწოდებლები დაჯილდოვდნენ

პირველი გვერდიდან

- დღეს კიდევ ერთხელ ვაჯამებთ ტურისტულ სეზონს, რომელმაც უპრეცედენტო წარმატებით ჩაიარა. განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, პოსტპანდემიურ პერიოდში სრულად აღდგა ტურისტული ნაკადები, გაიზარდა ფრენების რაოდენობა და სეზონი დღესაც გრძელდება. ამიტომ, ჩვენი საერთო მიზანი - ბათუმი და აჭარა ოთხივე სეზონზე მიმზიდველ, წარმატებულ ტურისტულ მიმართულებად გადავაქციოთ, აუცილებლად შესრულდება. მთელი გუნდი გააკეთებს მაქსიმუმს, რათა თითოეულმა ჩვენმა მცხოვრებმა შეძლოს წარმატებული სეზონისგან მიიღოს მაქსიმალური სარგებელი, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

„მაგნოლია 2022“-ის ნომინაციები წელს შემდეგნაირად გადანაწილდა: საუკეთესო ბრენდული სასტუმრო - „ჰილტონი“, საუკეთესო არაბრენდული სასტუმრო - „ბლუმი“, საუკეთესო ჰოსტელი - „ძველი ბათუმი“, ყველაზე პოპულარული რესტორანი - „ფიროსმანი“, საუკეთესო ტურისტული სააგენტო - „აჭარა ტური“, საუკეთესო გიდი - თამარ ორაგველიძე, საუკეთესო განთავსების ობიექტი სოფლად - „ზებო“, ყველაზე პოპულარული ღვინის მარანი - ვაჟა დავითაძის მეღვინეობა და მარანი, ყველაზე ხშირად ვიზიტირებადი მუზეუმი - გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი, ყველაზე ხშირად ვიზიტირებადი დაცული ტერიტორია - მტირალას ეროვნული პარკი, ყველაზე ხშირად ვიზიტირებადი ადგილი - ბათუმის ბულვარი, ყველაზე ხშირად ვიზიტირებადი ტურისტული მარშრუტი - მახუნცეთის ტურისტული მარშრუტი, საუკეთესო ტურისტული მძღოლი აჭარაში - ზვიად გოგიჩაიშვილი.

- ძალიან სასიამოვნო და საპასუხისმგებლოა, წარმოადგენდე შენს ქვეყანას, გქონდეს შესაძლებლობა, გააცნო იგი სხვებსაც. რა თქმა უნდა, შენ უკან დგას მთელი დეპარტამენტი და მთლიანად ტურიზმი და შენ გრძნობ მათ ერთგულებას. უღრმესი მადლობა და ყველას ვულოცავ, ვინც ეს ჯილდო მიიღო დღეს, - განაცხადა თამარ ორაგველიძემ.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინიციატივით, წელს პირველად, „მაგნოლიის“ დაჯილდოების ცერემონიაზე დაწესდა ტურიზმის საპატიო ჯილდო, რომელიც ტურიზმის სექტორისთვის მნიშვნელოვან ადამიანებს გადაეცა.

ეკოტურიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის - იზოლდა მაჭუტაძე, ტურიზმის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის - ზურაბ ბარბაქაძე, გიდის პროფესიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის - ბაგრატ თავბერიძე, ზურაბ ჭკუასელი, ტურიზმის ინდუსტრიისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში გაწეული თავდადებისთვის - თამაზ შამილიშვილი და მალხაზ მალაყმაძე დაჯილდოვდნენ. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რეგიონში ტურიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელები კერძო და სამთავრობო სექტორების, ასევე მედიის წარმომადგენლებსაც გადასცა.

ქედა 3 ნომინაციაში გამოარჩიეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტში ტურიზმი აქტიური ხდება. მარტო 2022 წელს ნახევარ მილიონზე მეტი უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორი იმყოფებოდა მახუნცეთის ჩანჩქერის, სხვა ისტორიული და მატერიალურ-კულტურული ძეგლების მოსანახულებლად. ამ მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეული საქმიანობა სათანადოდ დაფასდა.

ბათუმის დრამატულ თეატრში გამართულ „მაგნოლია 2022“-ის დაჯილდოების ცერემონიაზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონში საუკეთესო ტურისტული სერვისის მიმწოდებლები დააჯილდოვა.

ქედის მუნიციპალიტეტმა ჯილდო სამ ნომინაციაში მიიღო. ესენია: საუკეთესო განთავსების ობიექტი სოფლად; ყველაზე ხშირად ვიზიტირებადი ტურისტული მარშრუტი. მადლობის სიგელი მედიატურების მხარდაჭერისთვის და ეფექტური თანამშრომლობისთვის ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „ელესას“ გადაეცა.

- აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი „მაგნოლიას“ დაჯილდოების ღონისძიებას აჭარაში 2015 წლიდან ატარებს. მისი მიზანი ტურისტული სექტორის წახალისება და რეგიონში სერვისების განვითარებაა. ქედის მუნიციპალიტეტი ამ პროცესებში აქტიურადაა ჩართული. სამ ნომინაციაში გამოგვარჩიეს, რაც წინასაახალწლო საჩუქარია, - გვითხრა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ.

ცნობილი პოლიტიკოსების პოლიტიკური პროგნოზები

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ფონი, რუსეთ-უკრაინის ომი და ამ ომით გამოწვეული სირთულეები, საქართველოს მესამე პრეზიდენტის პატიმრობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვაობა, ომბუდსმენის არჩევის გაჭიანურებული პროცესი - ეს ყველაფერი 2022 წელს განვითარებული მოვლენებია. რას პროგნოზირებენ ცნობილი პოლიტიკოსები, როგორია მათი მოლოდინი და რაში ხედავენ უკეთეს მომავალს, ამას გაზეთ „აჭარისთვის“ ექსკლუზიურად მიცემულ კომენტარებში წაიკითხავთ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ბია მასალკინი** 2023 წელს პოლიტიკური თვალსაზრისით რეალური გადაფასებების მოლოდინით ხვდება, მიიჩნევს, რომ საზოგადოება, პოლიტიკოსები საღად აზროვნებას დაიწყებენ, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირში ჩვენი ქვეყნისთვის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

- არის ასეთი ანეკდოტი: „ჩვენ გვეგონა, რომ ფსკერზე ვართ და უცებ ქვემოდან დაგვიკაკუნესო“ - მგონი, უკვე არავინ დაგვიკაკუნებს, რადგან, გარკვეულწილად, ფსკერზე ვართ. ამიტომ, გამიჩნდა აზრი, რომ ჩვენ უნდა დავსულიყავით ფსკერზე იმისათვის, რომ გაგვეგო, რას ნიშნავს ქვეყანაში პოლიტიკის

არქონა, რას ნიშნავს უკიდურესი პოლარიზება, რას ნიშნავს პოლიტიზებული მედია, ანუ ყველას უნდა მოეხსნა ნიღაბი და ჩვენ უნდა დაგვენახა ყველაფერი და მგონი, ეს მოხდა კიდეც. აქედან გამომდინარე, 2023 წელს ველოდები რეალობის გარკვეულ გადაფასებებს და იმას, რომ უფრო საღად დავიწყებთ აზროვნებას. ყოველ შემთხვევაში, ამას ვუსურვებ მთელს საქართველოს. მერე მოდის 2024 წლის არჩევნები და მასაც თუ არსებული პოლიტიკური სიტუაციით შევხვდით, ეს ძალიან ცუდი იქნება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ის 12-პუნქტიანი გეგმა, ის რეკომენდაციები, რომლებიც უნდა შევასრულოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, სრულყოფილად წარმოდგენილი არცერთ ქვეყანაში არ არის, მთავარია, ჩვენ მოვძებნოთ ჩვენს თავში პოლიტიკური ნება, ნორმალური არჩევნები ჩავატაროთ და ქვეყანა დემოკრატიულად, პლურალისტურად და სტრატეგიულად ვმართოთ. თუ მივხვდებით, რომ მაქსიმალური ღიაობა და დემოკრატია, ასევე განათლება არის ჩვენი ხსნა, ეს 12 პუნქტი თავისთავად შესრულდება. ბუნებრივია, იმ ნაბიჯებს, რომლებიც გადაიდგა, მივესალმები, ეს არ არის 100 პროცენტიდან 90, რაც უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ დინამიკა აშკარად შეიმჩნევა, - ამბობს გია მასალკინი.

პოლიტიკური თვალსაზრისით „ცვლილებათა ქარი ოპოზიციურ სპექტრში ქრის“, აქედან გამომდინარე, აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ცოტნე ანანიძე** 2023 წელს განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ელოდება.

- 2023 საარჩევნო წელი არ არის. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ცვლილებების მოლოდინი არ მაქვს. ცვლილებათა ქარი შედარებით, ოპოზიციურ სპექტრში ქრ-

ის. 2023 წელი მთელს მსოფლიოში უკრაინაში ომის დასრულების მოლოდინთანაა დაკავშირებული და იმედია, მალე ასეც მოხდება და სამართალი იზეიმებს. ჩვენც, როგორც ოკუპირებული ქვეყნის მცხოვრებლები, ვგულშემატკივრობთ უკრაინას, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს და ის, რაც დაარღვია რუსეთის ფედერაციამ, მათ შორის ჩვენთან, საქართველოში გამოსწორდეს. რაც შეეხება საქართველოს წევრობის კანდიდატის სტატუსს, ამ საკითხზე მუშაობს საქართველოს პარლამენტი და მთავრობა, ეს მოითხოვს ძალიან ბევრ საკითხზე კონსენსუსს. იმედია, ევროკავშირი არ დაგვიკარგავს იმას, რომ ჩვენ ლიდერები ვიყავით ევროპასთან ასოცირების საკითხში. ქართველი ხალხის ისტორიული აწმყოს და მომავლის არჩევანი, რა თქმა უნდა, ევროკავშირი და ევროფასეულობებია. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დონეზე, სწორედ ეს არის სამიზნე იმ რეკომენდაციების, რომელიც ევროკავშირმა განსაზღვრა. საქართველოს მესამე პრეზიდენტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტის სერვისების უზრუნველყოფაა. ნებისმიერი პატიმარი არის კანონის წინაშე თანასწორი და არავის დისკრიმინაციის უფლება არ აქვს. ძალიან ბევრი სხვადასხვა მოსაზრებაა სააკაშვილთან დაკავშირებით. საზოგადოების ნაწილი მის გათავისუფლებას ითხოვს, ნაწილი კი ამის წინააღმდეგია, მათი პოზიცია გასაგებიცაა, ამას თავისი მიზეზები აქვს, რამდენიმე დღის წინ ამასთან დაკავშირებით აქციაც ვნახეთ. აქციაზე მყოფთა უმრავლესობის სახელი და გვარი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობია. უსამართლობის მსხვერპლნი არიან ეს ადამიანები სააკაშვილის მმართველობის დროს, მათ შორის მეც და ჩემი თანამებრძოლებიც და თანამოაზრეებიც. იმ პერიოდში სრულიად უდანაშაულო ადამიანებმა, ძალიან რთული სასჯელაღსრულების სისტემა გავიარეთ, ისეთებმა, ვინც აქციაზე საერთოდ არ იმყოფებოდნენ. სააკაშვილმა შექმნა დანაშაულებრივი სისტემა. სწორედ ამიტომ იმ პერიოდში რევოლუციური არჩევნები მოხდა. გარკვეული პარალელი რომ გაავლო, არსებულ სიტუაციასა და მაშინდელ სიტუაციებს შორის, ძალიან კარდინალურ განსხვავებას დავინახავთ. სააკაშვილს როგორც ყოფილ პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს პატიმრობის დროს, ცხადია, ის რჩება არაფორმალურ ლიდერად „ნაციონალური მოძრაობის“, მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ყველაფერი დამოკიდებულია სამედიცინო კომპეტენციაზე. მადლობა ექიმების მიმართ თავად სააკაშვილსაც უთქვამს. სახელმწიფო ვალდებულია, ნებისმიერი პატიმრის უფლებები დაიცვას, მათ შორის სააკაშვილის, თუმცა თუ მის დანაშაულებზე ვისაუბრებთ, ეს შორს წაგვიყვანს. მისი პატიმრობაში ყოფნა არა მგონია საქართველოს მოქალაქეებში კითხვებს იწვევდეს, მით უფრო იურისტებში. რაც შეეხება მის მდგომარეობას, ეს შეიძლება, გარკვეულწილად, შიმშილობის გამოცხადების ფაქტს უკავშირდებოდეს, რამაც მისი ჯანმრთელობა აქამდე მიიყვანა. იგი გადის მკურნალობის კურსს და არავის აქვს სურვილი, რომ ვინმემ მოკლას, ცხადია, არც მე. - განაცხადა ცოტნე ანანიძემ.

2023 წელს პოლიტიკაში დიდ ცვლილებებს ელოდება „ლელოს“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე **გენო თებიძე**. მისი მოლოდინი პოზიტიურია. ამბობს, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის მზადება სწორედ ახლა დაიწყება, რაც დიდ გავლენას მოახდენს ქვეყნის ბედზე.

- 2023 წლის მოლოდინი დიდია, იცით, რომ 2022 წელი ჩვენი

მეგობარი ქვეყნისთვის განსაკუთრებით რთულად დაიწყო, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ვგულისხმობ. მიმდინარეობს მშვიდობიანი მოსახლეობის დევნა, დაიღუპა ბევრი ადამიანი, ზიანდება ინფრასტრუქტურა, განადგურებულია ეკონომიკა, ეს ყველაფერი მეგობარ ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც აისახება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ომის შედეგი, რადგანაც დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნის მომავალზე დიდ გავლენას მოახდენს. იმედი მაქვს, ომი უკრაინის გამარჯვებით დასრულდება, რაც ჩვენც დასავლური გეზისკენ წაიყვანს. 2023 წლიდან უკრაინის სახით მსოფლიოს ახალი მოთამაშე მოევლინება და დარწმუნებული ვარ, იგი ყველაფერს გააკეთებს მეგობარი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რათა მისი მომავალი იყოს უკეთესი და ცივილური. მინდა აღვნიშნო, რომ 2024 წელს არჩევნებზე პროდასავლური ძალები მაქსიმალურად მოიკრებენ ძალებს, რათა სათავეში კოალიციური ხელისუფლება მოიყვანონ. მინდა ვუსურვო ჩემს ქვეყანას უკრაინის გამარჯვება ფრონტის ხაზზე. მინდა ვუსურვო იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ უკრაინას, გამძლეობა და ჯანმრთელობა, ასევე, უკრაინელ პატარებს - მშვიდობა საკუთარ ქვეყანაში და უკეთესი მომავალი, - ამბობს გენო თებიძე.

ბათუმის საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, **რევაზ ხარაზი** მიიჩნევს, რომ საზოგადოებამ სათქმელი პირდაპირ ადრესატთან უნდა მიიტანოს. ასეთ შემთხვევაში იქნება 2023 წელი პოლიტიკურად წარმატებული. პოლიტიკოსის თქმით, ხალხის ხმა ბევრ პრობლემას გადაწყვეტს და მათ ჩართულობას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

- პირველ რიგში, ყველას დამდეგ ახალ წელს ვულოცავ, ეს წელი გამთლიანების წელი ყოფილიყოს. ვფიქრობ, რომ რთული წელი იქნება 2023. 2022 წელს პოლიტიკური მოვლენები როგორც განვითარდა, იმის თქმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ახალი წლიდან რადიკალურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ. ვფიქრობ, რომ არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა სწორედ საზოგადოების ხელთაა და ამ რეალობის შეცვლა მას შეუძლია. ჩვენი საზოგადოების აქტივობა როგორიც იქნება, იმაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ცვლილებები უნდა მოხდეს, „ქართულმა ოცნებამაც“ უნდა წარმოაჩინოს საღი აზრი და უნდა მიხვდნენ მისი წევრები მსოფლიოში რა ხდება. მოლოდინი მაქვს იმისა, რომ პუტინის რუსეთი დამარცხდება, მსოფლიო სწორედ ამისკენაა მიმართული. რუსეთის დამარცხებასთან ერთად ხელისუფლების ცვლილებაც მოხდება. ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ, ჩვენი შვილები ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრებთ, სადაც სიძულვილის ენა აღმოიფხვრება. ყოველთვის მქონდა უკეთესის მოლოდინი, უნდა გავიაზროთ, რომ არა მხოლოდ იქ, უკრაინაში უნდა დაიწყოს წარმატებული ქვეყნის მშენებლობა, არამედ, ჩვენს ქვეყანაშიც. სტუდენტებს, ნებისმიერ ახალგაზრდას, იმ ადამიანებს მოვუწოდებ, ვინც ყოველდღიურად უსამართლობას აწყდებიან, უკეთესი მომავლისთვის მუდმივად უნდა იბრძოლონ. ამ ქვეყნიდან გარბის ახალგაზრდობა. კი არ უნდა წავიდნენ, უნდა დარჩნენ და შეცვალონ თავიანთი ცხოვრება უკეთესობისაკენ. მთავარია, ყველამ ვიცოდეთ ის, რაც იყო 2022 წლამდე, არ შეიძლება კიდევ 10 წელი გაგრძელდეს. ისიც მთავარია, რომ რუსეთის გარეშე ვიყოთ. ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს არ უნდა რუსეთი და სჭირდება განვითარება, მხოლოდ ფეისბუქგვერდებზე გამოქვეყნებული უკმაყოფილება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით არაა საკმარისი, უნდა ვთქვათ ღიად, ხმამაღლა მივიტანოთ სათქმელი იმასთან, ვისაც უშუალოდ ეხება ეს პრობლემა. ვფიქრობ, რომ პოლიტიკურად დატვირთული იქნება 2023 წელი, მაგრამ მე ასევე მსურს, რომ პოლიტიკოსის გვერდით ხალხის ხმა ისმოდეს. ასე იყო 2012 წელს, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა გაიგონა ხალხის ხმა, ხალხის არჩევანი, მაშინ ყველამ დავინახეთ ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ როგორ მშვიდობიანად გადააბარა ,- გვითხრა რევაზ ხარაზმა.

უცხოეთი

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გერმანიასა და ალიანსის სხვა ქვეყნებს მოუწოდა, უკრაინისთვის იარაღის მიწოდება განაგრძონ. „შესაძლოა, ეს პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ უკრაინის სამხედრო მხარდაჭერა ყველაზე სწრაფი გზაა მშვიდობისკენ“, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა. მისივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ უკრაინას თავის კონტროლს ვერ დაუქვემდებარებს. სტოლტენბერგმა ასევე ნათლად დააფიქსირა, რომ უკრაინის მხრიდან რუსეთის საბრძოლო ობიექტებზე თავდასხმას სრულიად კანონიერად მიიჩნევს. „ყველა ქვეყანას აქვს უფლება, დაიცვას თავი“, - განაცხადა მან.

* * *

ქვეყნების უმეტესობა არ უჭერს მხარს უკრაინის წინადადებას გაეროს უშიშროების საბჭოდან რუსეთის გარიცხვის შესახებ, - ამის თაობაზე ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვიცე-კანცლერმა მიარტ ვოლმერმა განაცხადა. მისი თქმით, ამ საკითხის განხილვა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის პოზიციას ძალიან ბევრი ქვეყანა გაიზიარებდა და ჩათვლიდა, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში ადგილი უკანონოდ მიიღო, თუმცა ასეთი ქვეყნების რიცხვი ძალიან მცირეა. „ამ საკითხზე უკრაინას ძალიან დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა არ აქვს“, - განაცხადა ვოლმერმა.

* * *

ისრაელის პარლამენტმა პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუს ახალ მთავრობას ნდობა გამოუცხადა. მან უკვე დადო ფიცი და ოფიციალურად გახდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი. ნეთანიაჰუ უკვე იყო ისრაელის პრემიერ-მინისტრი 1996-1999 და 2009-2021 წლებში. 1-ელ ნოემბერს, 25-ე მოწვევის ქნესეთის ვადამდელი არჩევნების შედეგად, მისმა პარტიამ პირველი ადგილი დაიკავა. ეს არჩევნები ზედიზედ მეხუთე იყო სამნახევარი წლის განმავლობაში.

* * *

ვარშავაში გადაწყვიტეს, ახალ წელთან დაკავშირებულ სადღესასწაულო ღონისძიებებზე უარი თქვან. პოლონეთის დედაქალაქში ეს ფინანსური მდგომარეობით და იმით ახსნეს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, მსგავსი ღონისძიების გამართვა უადგილო იქნებოდა. როგორც ვარშავის მერიის პრესსპიკერმა მონიკა ბეუტმა აღნიშნა, სადღესასწაულო ღონისძიების გაუქმება უკვე ტრადიციად იქცა, რადგან აქამდე მის ჩატარებას ხელს პანდემია უშლიდა.

* * *

სერბეთის პრეზიდენტმა ალესანდრ ვუჩიჩმა კოსოვოელ სერბებს ბარიკადების დაშლისკენ მოუწოდა. სერბეთის კოსოვოსა და მეტოხიის სამმართველოს დირექტორის პეტარ პეტკოვიჩის თქმით, ბელგრადმა ევროკავშირსა და აშშ-სგან „სანდო გარანტიები“ მიიღო. „საქმე ეხება სერბი პოლიციელის დეიან პანტიჩის გათავისუფლებას, კოსოვოელი სერბების სიების არარსებობას, რომელთა დაკავებასაც პრიშტინა გეგმავს და, ასევე, NATO KFOR სამშვიდობო ძალების გარანტიას, რომ კოსოვოს უშიშროების ძალები მათი წინასწარი თანხმობის გარეშე ვერ შევლენ ჩრდილოეთ მუნიციპალიტეტებში“, - აღნიშნა მან.

მოამზადა
ია შველიძემ

მინისტრი, რომლისთვისაც ახალი წელი რამდენიმე თვის წინ დადგა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ცოტაც და, კარს შემოაღებს 2023 წელი. როგორი იყო გასული წელი და რა გეგმებით ხვდება ახალს, რა საახალწლო ტრადიციები აქვს ოჯახში - ამაზე აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე გვესაუბრება. შევეცადეთ, ინტერვიუს საშუალებით იგი სულ სხვა კუთხით გაგვეცნო საზოგადოებისა და ჩვენი მკითხველისთვის

- ქალბატონო ნინო, როგორი იყო თქვენთვის გასული 2022 წელი?

- ვთვლი, კარგი წელი იყო, იქიდან გამომდინარე, რომ გავცდით პანდემიის საზღვრებს და ჩვენ წინაშე დადგა სხვა გამოწვევები. ძალიან ბევრი მიმართულებით მოგვიწია ფიქრი პანდემიის შემდგომი პრობლემების, სოციალური რეაბილიტაციის, ჯანდაცვის მიმართულებით. კოვიდპანდემიამ უამრავი პრობლემა დატოვა, უფრო სწორად, უფრო თვალნათლივ გამოჩნდა პანდემიის პერიოდში გამოუმჟღავნებელი, დაურეგისტრირებელი და არადიაგნოსტირებული შემთხვევები. უწყება ბევრი გამოწვევის წინაშე დადგა, ბევრ პრობლემასთან მოგვიწია გამკლავება და ამ მხრივ 2022 წელი ნაყოფიერი იყო ჩვენთვის. ამას როგორც ჯანდაცვის მინისტრი, ისე ვამბობ. პირადულს რაც შეეხება, უფლის წყალობით, აქაც კარგი წელი იყო, განსაკუთრებული ცვლილება ჩემს ოჯახში და ჩემ ირგვლივ არ ყოფილა. ყველანი ჯანმრთელად და კარგად ვართ, ვთვლი, რომ ეს არის უპირველესად მთავარი. ოჯახის წევრებიც კარგად არიან და ფიქრობენ შემდგომ განვითარებაზე. მათი ასაკის შესაბამისად, იგივე შემიძლია ვთქვა მშობლებზეც.

- ოჯახი ახსენეთ და... გვიამბეთ მის შესახებ.

- მყავს მეუღლე ალესანდრე ქონიაძე, იგი ამჟამად ტურისტული ბიზნესსაქმიანობით არის დაკავებული. 22 წლის ასაკში შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი. მოგვიანებით ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და ერთ წელიწადში შევქმენით ოჯახი. საკმაოდ დიდი ხნის, ბედნიერი თანაცხოვრების პერიოდი გვაქვს გავლილი. გვყავს 20 წლის ტყუპი გოგონები - ანა და მარიამი. ისინი სტუდენტები არიან და ამჟამად თბილისში ცხოვრობენ. ერთმა - მედიცინა, მეორემ კი ჟურნალისტიკა, კერძოდ, სოციალური მედიამარკეტინგი აირჩია. პერიოდულად ჩამოდიან მშობლიურ ქალაქში და გვახარებენ. ცოტა გაგვიჭირდა ბავშვების თბილისში გადასვლა. როცა პანდემია ახალი დაწყებული იყო, ისინი სწავლას ონლაინრეჟიმში აგრძელებდნენ. შესაბამისად, ჩვენც მივეჩვიეთ ამ რეჟიმს და შვილებთან ახლოს ყოფნას, წელს კი დავდექით იმ გამოწვევის წინაშე, რომ ორივემ დაგვტოვა. ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ გვყავს 5 წლის ბიჭი, ძაღლი - ამერიკული აკიტა სახელად რეი. ხუმრობის გარეშე, ის მართლაც ჩემი მესამე შვილია - დიდი ზომის და წონის. ფეხით სიარული ძალიან მიყვარს, დილით გამოძინების სურვილი არასდროს მაქვს, ყველა შაბათ-კვირას სიამოვნებით ვდგები 8 საათზე და ვასეირნებ. დასვენების დღეებსაც ერთად ვატარებთ, რაც დიდ ბედნიერებას მანიჭებს. მზრუნველობას არ ვაკლებ და შვილების დეფიციტს, რაც მათი დედაქალაქში გადასვლით შემექმნა, შეიძლება ითქვას, ამით ვივსებ.

- როგორი დედა ხართ?

- ძალიან მეგობრული, თუმცა ზოგჯერ მიწევს, ვიყო კატეგორიულიც, ამასთან, რაღაცებში დამთმობიც ვარ. როგორც თავად მეუბნებიან, თავისუფალი დედა ვარ და არ მაქვს შეზღუდვები. ტყუპები კი არიან, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან.

- როგორც მივხვდი, სიახლეებს შვილებთან ერთად უწყობთ ფეხს და, ბევრი მშობლისგან განსხვავებით, თითქმის არ ზღუდავთ მათ.

- ნამდვილად. 20 წლის ადამიანი უკვე პიროვნულად ჩამოყალიბებულია და თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა უნდა. ისინი ნორმალურ და ჯანსაღ გარემოში გაიზარდნენ და, ვფიქრობ, მცდარ გადაწყვეტილებებს არასდროს მიიღებენ. გოგონები ყოველთვის დამოუკიდებლები იყვნენ და წლებია, მათ აქტიურ ცხოვრებაში ველარ ვერევი. ასე მივაჩვიე ბავშვობიდან და არც ვნანობ. პატარები რომ იყვნენ და სტომატოლოგთან მიმყავდა, ვცდილობდი, დამოუკიდებლად შესულიყვნენ მასთან. ამით პატარაობიდანვე ვაჩვევდი გამოწვევასთან გამკლავებას. ვასწავლიდი, ნებისმისმიერი პრობლემა თავად გადაეჭრათ, რაც მათ გააძლიერებდა და ასეა დღემდე. თუკი მოგიწია იმ სიტუაციაში ყოფნა, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდი, ამას შეიძლება გარკვეული შედეგი მოჰყვეს და მზად უნდა იყო.

- არც პროფესიის არჩევაში ჩარეულხართ და სრული თავისუფლება ჰქონდათ?

- მათი ხასიათიდან და ნიჭიდან გამომდინარე, ორივეს მივეცი რეკომენდაცია. ვთვლი, ეს ყველა მშობლის ვალდებულებაა. ერთი ძალიან პრეზენტაბელური იყო - ვიზუალს და ბრენდირებას აქცევდა ყურადღებას და, აქედან გამომდინარე, ვურჩიე სოციალური მედიამარკეტინგი, მეორეს ძალიან უყვარდა კოსმეტოლოგია, დერმატოლოგია... სამედიცინოზეც ამიტომ წავიდა. უფრო ამ მიმართულებით უნდა მუშაობის გაგრძელება. ჩემი რჩევები გაითვალისწინეს, გადაწყვეტილება კი დამოუკიდებლად მიიღეს. მათი გამოცდები პანდემიას დაემთხვა და ფიზიკურად ვერ მოვიცლიდი, მათ მაგივრად რომ გადამეწყვიტა რამე. მისაღები გამოცდები როგორ ჩააბარეს და გახდნენ სტუდენტები, თითქმის არ მახსოვს.

- დაახასიათეთ საკუთარი თავი - როგორია ნინო ნიჟარაძე სამსახურის მიღმა?

- ძალიან უბრალო და თავისუფალი ადამიანი ვარ. ცოტა უხერხულობას მიქმნის, როცა სადღაც მცნობენ და მათთვის მინისტრი ვხდები. ზედმეტი ყურადღება დისკომფორტს მიქმნის. ვინც მიცნობს, იტყვის, რომ ურთიერთობის პრობლემა არავისთან მაქვს. არ ვთვლი, რომ ამ თანამდებობამ შეცვალა ჩემი ცხოვრების სტილი, თუკი არ ჩავთვლი იმას, რომ ცოტა დროის ფაქტორმა იჩინა თავი - უფრო დატვირთული და მოუცლელი ვარ სამსახურის გამო და შეიძლება, შედარებით ნაკლებ დროს ვატარებ მეგობრებთან. თუმცა მაქვს ვალდებულება, კვირაში ორჯერ მშობლებთან აუცილებლად მივიდე, თუნდაც ერთი საათით და ეს არასდროს შეიცვლება. დანარჩენ თვისებებს რაც შეეხება, ჩვეულებრივი დიასახლისიც ვარ. როგორი ნინო ნიჟარაძეც ვიყავი წლების წინ, ისეთივე ვარ. არც სახლის საქმეებია უცხო ჩემთვის და მიყვარს, როცა პირადად ვარ ამით დაკავებული. საერთოდ, ყველა ფრონტზე უნდა დავიხარჯო ბოლომდე და არ მიყვარს, ამას ჩემ მაგივრად სხვა რომ აკეთებს. სადაც ვარ, უნდა ვიყო ბოლომდე რეალიზებული, როგორც დიასახლისი, როგორც ქალი, როგორც დედა, მეუღლე, როგორც მინისტრი, შვილი, მეგობარი თუ სხვა. უბრალოდ, იოლად რაიმეს მიღების საშუალებას საკუთარ თავს არ ვაძლევ - შეიძლება, რაღაც გამომივიდეს, მაგრამ საკუთარი თავით ბოლოს ყოველთვის უკმაყოფილო ვრჩები.

> ,, *ძალიან უბრალო და თავისუფალი ადამიანი ვარ. ცოტა უხერხულობას მიქმნის, როცა სადღაც მცნობენ და მათთვის მინისტრი ვხდები. ზედმეტი ყურადღება დისკომფორტს მიქმნის. ვინც მიცნობს, იტყვის, რომ ურთიერთობის პრობლემა არავისთან მაქვს. არ ვთვლი, რომ ამ თანამდებობამ შეცვალა ჩემი ცხოვრების სტილი, თუკი არ ჩავთვლი იმას, რომ ცოტა დროის ფაქტორმა იჩინა თავი - უფრო დატვირთული და მოუცლელი ვარ სამსახურის გამო და შეიძლება, შედარებით ნაკლებ დროს ვატარებ მეგობრებთან. თუმცა მაქვს ვალდებულება, კვირაში ორჯერ მშობლებთან აუცილებლად მივიდე*

- რას ელოდებით 2023 წლისგან?

- პირველ რიგში - ღვთის წყალობას და ჯანმრთელობას ჩემი და გარშემომყოფებისთვის, ვინც ძალიან მიყვარს. რაიმე განსაკუთრებული სურვილი არ მაქვს. მომავალი წლისთვის მაქვს გარკვეული გეგმები და სამსახურებრივი მიზანი, რაზეც აქტიური მუშაობა უკვე დავიწყე. ერთ წელიწადში შეიძლება ვერ დასრულდეს იმდენად მასშტაბურია, მაგრამ 2023 წელს მან უნდა აიღოს კარგი ტემპი. ძირითადად, ამ მიმართულებით ვმუშაობ. ცხოვრებაში, მუდმივ რუტინაში მოდის ახალი საჭიროებები და ეს იმდენად გაუთვალისწინებელია, რომ სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს, ამიტომ ზოგჯერ არაპროგნოზირებადი სიტუაციებიც არის ჩვენს სფეროში, ყოველდღიურობაში და ამას ველოდებით, რა თქმა უნდა, ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელიცაა. აქედან გამომდინარე, ასეთი სიტუაციებისთვის მზადყოფნა და ექსპრომტად საქმის კეთებაც გვიწევს. ეს გარკვეულ ტემპს და მუხტს მმატებს როგორც მინისტრს, როგორც უბრალო ადამიანს და ალამაზებს ჩემს ყოველდღიურობას.

- ახალი წლისთვის რაიმე ტრადიცია თუ გაქვთ ოჯახში - ნაძვის ხის მორთვა, საჩუქრების მირთმევა...

- ნაძვის ხეს, ტრადიციულად, 1 დეკემბერს ვაწყობ. წელს ძალიან კურიოზული სიტუაცია მქონდა: გამოვიწერე ნაძვის ხე და... ნოემბერში ჩამომივიდა. მთელი სამინისტრო გადამეკიდა, რა ჩამოგივიდა, გვაჩვენეო. მეც გავხსენი და... ავაწყვე. სათამაშოების გარეშე ხომ არ დავტოვებდი და... დამრჩა წინასწარ აწყობილი. მოკლედ, ჩემთვის, ფაქტობრივად, ახალი წელიც დადგა. საერთოდ, ნაძვის ხის მორთვა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ის დილიდან გვიან ღამემდე განათებულია და ეს წესი უცვლელია.

- როგორია თქვენი საახალწლო სუფრა და თავად თუ გიყვართ კერძების მომზადება?

- ამით დიდად არ გამოვირჩევი. ორი რამ აუცილებლად უნდა იყოს ჩემს საახალწლო სუფრაზე - გოჭი და საცივი, სხვას არაფერს ვანიჭებ მნიშვნელობას.

- ხაჭაპურის გარეშე ქართული სუფრა ხომ წარმოუდგენელია...

- არა, ხაჭაპური - არა. ორი ქალიშვილი მყავს და მუდმივად ვცდილობთ, ფორმაში ვიყოთ - ცომეულს ვზღუდავთ სუფრაზე. ერთიორი დღისთვის არ გვინდა, რეჟიმიდან ამოვვარდეთ, კვებას და ფორმაში ყოფნას ვაქცევთ დიდ ყურადღებას.

- რა სურვილს ჩაუთქვამთ ახალი წლის ღამეს?

- განსაკუთრებული და გამორჩეული სურვილი არ მაქვს. სამსახურებრივი რამდენიმე ჩანაფიქრი რაც მაქვს, მინდა ბოლომდე მივიყვანო. პირადს რაც შეეხება, სტაბილურად მივყვები დინებას. მატერიალურ მხარეს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, არ ვარ ამას მიჩვეული. სულიერი სიმშვიდე, ჰარმონია და ბედნიერება იოლად შემიძლია ვიპოვო ჩემს ოჯახში და მეგობრებთან, სიმყუდროვე - ფინჯან ყავასთან და ტელევიზორთანაც. უნივერსიტეტშიც ვასწავლი, ვკითხულობ ლექციებს და ვთვლი, რომ იმდენად რეალიზებული ვარ, წვრილმანებისთვის დრო არ უნდა დავხარჯო. რაღაც დროს ამას ყოველთვის ვუთმობ, ეს თვითგანვითარებაზე დადებითად მოქმედებს. ამჟამად ინდოელებთან ვატარებ ლექციებს, რაც ენის ბარიერის გადალახვაშიც მეხმარება. ამასთან, საინტერესოა ახალგაზრდებთან მუშაობა და ეს, გარკვეულწილად, ბავშვებთან ურთიერთობაშიც მიწყობს ხელს, რაც ძალიან მომწონს.

- ახალ წელს როგორ მიულოცავთ ჩვენს მკითხველებს?

- პირველ რიგში, ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, ამაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. მიკვირს, როცა ჯანმრთელი ადამიანი რაღაც მატერიალურზე ფიქრობს დილიდან საღამომდე. ისეთებს ვისმენ მოქალაქეების საჭიროებებიდან გამომდინარე, რომ ვფიქრობ, ადამიანები ვერ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს. ყველას ვეტყვი: აუცილებლად დავაფასოთ ჯანმრთელობა, ვიყოთ იმის მადლიერები, რაც უფალმა გვარგუნა. ეს მადლიერება დაგვეხმარება სულიერ ჰარმონიაში, სიმშვიდეში. არ მოგვკლებოდეს უფლის წყალობა და სიყვარული, დანარჩენი ყველაფერი დროებითია და წარმავალი. ყველაფერი გამოგვივა, თუკი ჩვენ ამ რაღაცების დაბალანსებას ვისწავლით. ყველას გილოცავთ დამდეგ 2023 წელს! იხარეთ და იბედნიერეთ!

ვინ როგორ გაატარა და რას დაარქმევდა 2022 წელს?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

წლების წინ ახალი წლის განწყობა ჩემთან ბევრად უფრო ადრე მოდიოდა, ვიდრე სხვებთან. ფაქტობრივად, შემოდგომის სუსხის მოსვლასთან ერთად ვიწყებდი ცქმუტვას. არ ვიცი, ასაკი კონკრეტულად რომელ ემოციებზე მოქმედებს, მაგრამ ალბათ, წლებთან ერთად ამ განწყობამ დაგვიანება დაიწყო... თითქოს ახალი წელი რამდენიმეწუთიანი ჟივილ-ხივილი გახდა. ისევ იდგმება ნაძვის ხე, ისევ ჩნდება მის ქვეშ საჩუქრები, ისევ ფუსფუსებენ სამზარეულოში, ისევ ითვლიან ბოლო ათ წამს საერთო ჟრიამულამდე. თუმცა, ადრე ეს ყველაფერი უფრო ზღაპრულად და ჯადოსნურად მეჩვენებოდა. ყველაფრის მიუხედავად, მგონია, რომ ახალი წელი მაშინ მოდის, როცა თავს ახლებურად გრძნობ. არ აქვს მნიშვნელობა რის, ან ვის გამო. ახალი წელი ახალ ემოციებს, ახალ შესაძლებლობებს მოაქვს. ჰოდა, ვისთვისაც ეს დღეები მნიშვნელოვანია, ყველას გილოცავთ ჩვენი ცხოვრების ათვლის თავიდან დაწყებას. პირველ რიგში, საკუთარ თავთან ჰარმონიას გისურვებთ! ამაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი არაფერია. ცუდად ყოფნაც ნორმალურია, დამარცხებაც ადამიანურია და შეცდომების დაშვებაც. მთავარია, საკუთარ ტყავში თავს კომფორტულად გრძნობდე. დამდეგს გილოცავთ, ნაკლებად მოუსმინეთ სხვებს და ბევრი - საკუთარ თავს. ბედნიერება მხოლოდ ამას მოაქვს!

ვნახოთ, ვინ როგორ გაატარა და რას დაარქმევდა 2022 წელს?..

ოთარ ქათამაძე, რეჟისორი: - წლევანდელი წელი ჩემთვის ძალიან გადატვირთული იყო. რეკორდულად ბევრი პროექტი განვახორციელე: თბილისის ახმეტელის თეატრში დავდგი სპექტაკლი „ქალები 30+“, ბათუმის, ასევე, ქობულეთის ზაფხულის სეზონის გახსნაც, სპექტაკლი „ჩემოდანი“, რომლის პიესაც ჩემი დაწერილია. ასევე, დავდგი ოპერა „ბასტიენი და ბასტიენა“. ვარ პროექტ „ლაბორატორია 2/20“ ორგანიზატორი (შეიქმნა 9 დიდი ზომის ნახატი და 3 პერფორმანსი), ასევე - „ბათუმის მონოდრამის საერთაშორისო ფესტივალისა“ (დაიდგა 5 მონოსპექტაკლი), ოპერა „დონ პასკუალესა“ და ფესტივალ „განდაგანას“ რეჟისორი, „ბათუმის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ლაბორატორია“ - ორგანიზატორ-პროდიუსერი (შეიქმნა 3 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომლის ჩვენებაც კინოთეატრ „აპოლოში“ გაიმართა). ვითამაშე სპექტაკლში „ობლების ქალაქი“, ჩემი პიესა „აივანი“ ითარგმნა და დაიდგა უზბეკეთში. იყო დაღლაც და ამავდროულად, მივიღე დიდი სიამოვნება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წლევანდელი წელი ძალიან ნაყოფიერი იყო, ასევე დავასათაურებდი - „ნაყოფიერი წელი“.

აჩიკო გოგიტიძე, მომღერალი: - ვეფხვის წელში ვარ დაბადებული და ჩემი წელი იყო. ყველა მეუბნებოდა, რომ განსაკუთრებული წელი იქნებოდა ჩემთვის. ნამდვილად, ემოციური და დასამახსოვრებელი წელი გამოდგა კარგითაც და სამწუხაროდ, ცუდითაც. კარგი ის იყო, რომ ბევრი ვიმღერე, ბევრი დრო გავატარე ჩემს შვილებთან ერთად და უფრო მეტად გავითავისე მამაშვილური დამოკიდებულება. ამ წელს ჩემს შვილებს, მგონი, უფრო შევუყვარდი (იცინის). ძალიან მნიშვნელოვანი წელი იყო პროფესიული თვალსაზრისითაც. იმედის არხზე პროექტ „მიმღერეში“ მივიღე მონაწილეობა და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მთელ შემოქმედებით ჯგუფს, პროდიუსერებს, განსაკუთრებით დათო მაზანაშვილს, ეკა ნაცვლიშვილს, ეკა გორთამაშვილს, რადგან მომეცა საშუალება, რომ ამ პროექტში არა ანსამბლის წევრად ვყოფილივყავი, არამედ - სოლო მომღერალი და საზოგადოებას ამ მხრივაც გავეცანი. ძალიან გამიხარდა, რომ ამ ყველაფერს დადებითი შეფასებები და ემოციები მოჰყვა. სხვა მხრივ, ძალიან მძიმე წელი იყო, რადგან ჩემი მეგობარი ლევან კბილაშვილი დაიღუპა და 4 თვეში მეორე მეგობარი - ლაშა გოგიაშვილი. ეს ბიჭები ჩემი ტრიოს „ქალაქური“ წევრები იყვნენ. მათთან ერთად ვმღეროდი სანამ „ალილოში“ სიმღერას დავიწყებდი. მათი წასვლა ჩემთვის ძალიან დიდი ტკივილია, რომელიც მთელი ცხოვრება გამყვება. მიუხედავად ყველაფრისა, მინდა იმედით შევხედო ხვალინდელი დღეს. მინდა, რომ საუკეთესო გისურვოთ ყველას, სიმშვიდე და ჯანმრთელობა! მინდა, ჩემს ბათუმელებს, ჩემს ქალაქს კიდევ ერთხელ გამოვუტყდე დიდ სიყვარულში და ვუთხრა მადლობა, რადგან სადაც არ უნდა წავიდე, ეს სიყვარული ყველგან თან დამდევს. ეს სითბო ჩემი ოჯახიდან, მეგობრებიდან და ამ ქალაქიდან მოდის. ლევანი მღეროდა: „ბედის ბორბალი ტრიალებს“... ამ წელსაც ასე დავასათაურებდი - „ბედის ბორბალი დატრიალდა“. მინდა ჩვენს ქვეყანას მშვიდობა და დიდი სიყვარული ვუსურვო. მრავალს დავესწროთ!

გენრი დოლიძე, პოეტი: - 2022 წელი რთული წელი იყო როგორც ჩემთვის, ასევე სამყაროსთვის. მთავარი მოვლენა იყო რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც დღემდე გრძელდება და იმედს ვიტოვებ, რომ მალე დასრულდება ჩვენი მოძმე ერის გამარჯვებით, რაზეც მეტწილად დამოკიდებულია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რიგი ფაქტორები. ამ წელს დავარქმევდი „სოლიდარობის წელიწადს“, რადგანაც ჩვენმა ერმა თანადგომისა და თავგანწირვის უდიდესი მაგალითი აჩვენა. ჩვენ, კიდევ ერთხელ, დავამტკიცეთ, რომ მნიშვნელოვან მომენტებში შეგვიძლია სიკეთის, ჰუმანიზმისა და მშვიდობისთვის გაერთიანება. სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელიწადს და ვუსურვებ თავისუფლებას, მშვიდობასა და კეთილდღეობას!

სალი ბეთლი, მომღერალი: - 2022 წელს დავარქმევდი „აღმოჩენას“. ზუსტად 1 წელიწადში ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ მიმავალ კიბეზე რამდენიმე საფეხურით იმდენად სწრაფად ავიდა, რომ თავიდან გააზრება გამიჭირდა, რომ ეს შეძელი. ალბათ ყველაფერი იმიტომ, მოხდა, რომ თავდაუზოგავად ვშრომობ. მადლობელი ვარ ამ წლის, რადგან ბევრი რამ გადავფასე. დავკარგე და შევიძინე ადამიანები... მატერიალურად ბევრად უკეთესი პერიოდი მაქვს, ჩემი კარიერაც წინ მიდის და რაც დრო, გადის მით უფრო მეტად ვხვდები, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული დღე. 2022- ში აღმოვაჩინე, რომ ჯერ საკუთარი თავი უნდა მიყვარდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებ ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანების, საქმისა და ა.შ. გულწრფელ სიყვარულს. ვისწავლე, რომ ნებისმიერი დანაკარგი მხოლოდ უკეთესის შეძენის წინაპირობაა, ნებისმიერი ტკივილი მეტად ამძაფრებს სიხარულს, პატარა ნაბიჯებით უფრო დიდ გზას გავივლი და ამ წელს კიდევ უფრო ვირწმუნე, რომ რაც მთელი გულით მინდა, ყველაფერი მექნება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები ისევ ჩემ გვერდით არიან, ვისურვებდი, რომ კიდევ მრავალი წელი მქონდეს ასეთი. გილოცავთ დამდეგს!

ნიკო ბერიძე, მომღერალი: - პირველ რიგში, რითიც გამორჩეული გახდა ეს წელი (ოღონდ მუსიკალური თვალსაზრისით) - მე და ჩემმა ძმამ შევქმენით ჯგუფი, სადაც ჩვენი დაწერილი საავტორო სიმღერები სრულდება. პირველმა კონცერტმა წარმატებით ჩაიარა, ასევე დანარჩენებმაც. კიდევ ბევრი სიმღერის დამატებას ვაპირებთ, ვიდეოკლიპების გადაღებაც გვაქვს გეგმაში. ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით და არა ისე, როგორც ერთჯერად, გასართობ პროექტს. წელს. ასევე, ჩემი ორგანიზებით, ბათუმში გაიმართა რამდენიმე უნიჭიერესი ადამიანის კონცერტი: მალხაზ აბულაძის, უმაგრესი არტისტი და მუსიკოსია, ალექსანდრე ბეგალიშვილის (ჯგუფი „ამნეზია“). ასევე, პროექტი - „მუსიკალური რინგი“. ეს იდეა ჩემი ჯგუფის „პარამიტას“ პირველი ლაივკონცერტის შემდეგ დაიბადა. მინდოდა, გამეკეთებინა მუსიკალური რინგი, სადაც მონაწილეობას მიიღებდნენ დამწყები თუ გამოცდილი მუსიკოსები. ამ რინგს შემდეგ ადგილობრივ (და არა მხოლოდ) მუსიკოსებს, ლაივიდან დარჩებათ პროფესიონალური სტუდიური ჩანაწერები. ეს პროექტი, ვფიქრობ, მომავალშიც გაგრძელდება და იქნება სხვა წამახალისებელი პრიზებიც. 2022 წელს ჩემთვის კიდევ დიდი გამოწვევა იყო და არის ის, რომ ჯგუფში ბასგიტარაზე ვუკრავ, რაც პირველად მოხდა და რამდენადაც ურთულესია, იმდენად საინტერესოა. ამ წელს დავარქმევდი „ამ წელს“ - ორი სიტყვით (იცინის).

ანანო იაშვილი, მსახიობი: - ჩემს ცხოვრებაში ყველა წელი თავის კვალს ტოვებს. ალბათ გამიმართლა, რადგან მუდმივად რაღაც ახალი და საინტერესო ხდება. რა თქმა უნდა, ბევრი ცხოვრებისეული სირთულე და იმედგაცრუებაც ახლავს თავს, მაგრამ ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ახლაც მჯერა იმის, რომ ჩვენკენ მომავალი 2023 წელი უფრო საინტერესო, ბედნიერი და სიკეთის მომტანი იქნება. 2022 წელს პროფესიულად ბევრი საინტერესო რამ მოხდა: ჩავაბარე სამსახიობო მაგისტრატურაზე ლევან (ჭოლა) წულაძის ჯგუფში, მქონდა არაერთი პრემიერა, მაგრამ გამოვარჩევ „ირინეს ბედნიერებას“, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა საბა ასლამაზიშვილმა დადგა მესხეთის თეატრში და მთავარი როლის შემსრულებლად მიმიწვია. ამ სპექტაკლით ყაზახეთის საერთაშორისო ფესტივალზე „საუკეთესო მსახიობი ქალის“ პრიზი ავიღე. ასევე, საქართველოში ავიღე თეატრალური საზოგადოების გრანპრი - „წლის საუკეთესო სპექტაკლი“. გული მწყდება, რომ ბათუმის თეატრის მაყურებელმა ვერ იხილა ეს სპექტაკლი, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ ეს მალე მოხდება. მოკლედ რომ ვთქვა, ძალიან საინტერესო წელი მქონდა და ვარ უზომოდ მადლიერი. ეს წელი იყო „ფრიად გასაოცარი წელი“!

„სალომე ზურაბიშვილი დახურულ კარს მიღმა იმ ადამიანებს ხვდება, ვინც მას რუსეთის აგენტს უწოდებდა...“

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა რატი იონათამიშვილმა ჟურნალისტებთან თქვა, რომ ყველას ახსოვს სალომე ზურაბიშვილის პოზიცია „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ და როცა მისი პრეზიდენტობის ოთხი წლის შემდეგ ამ პოზიციის რადიკალური ცვლილება ხდება, ეს კითხვებს აჩენს.

„სალომე ზურაბიშვილი დახურულ კარს მიღმა იმ ადამიანებს ხვდება, ვინც მას თავის დროზე რუსეთის აგენტს უწოდებდა, გენდერული ნიშნით შეურაცხყოფას აყენებდნენ და პირად შეურაცხყოფაზეც კი გადადიოდნენ, ახლა ზურაბიშვილი „მივარდნილებს“ უწოდებს ადამიანებს, ვინც ის პრეზიდენტად აირჩია და სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი საკუთარ თავზე იგრძნო, - განაცხადა რატი იონათამიშვილმა, - ამ ყველაფრის შემდეგ არსებულ კითხვებს ლეგიტიმური მიზეზები აქვს. შეწყალება მხოლოდ უფლება არ არის, ეს არის პასუხისმგებლობა. პირველ რიგში, ამ პასუხისმგებლობას ზომავს საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულება და სამართლიანი პრინციპები. როცა ადამიანი მასშტაბური დამნაშავეა, არც ერთ დანაშაულს არ ინანიებს და, პირიქით, მას და მის მხარდამჭერებს კიდევ უფრო კრიმინალური რიტორიკა აქვთ, ასეთი ადამიანის შეწყალებაზე საუბარი სამართლიანობის პრინციპების შეურაცხყოფაა“.

ამირან გურიელიძე

«ვიდრე ცოცხალი ვარ, სოფელს ვერ დავტოვებ»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების მამულიშვილური ღვაწლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ფასდაუდებელია. ოსმალებთან დაპირისპირება სელიმს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მისი თავმოკვეთილი სხეული ისეთ ადგილზეა დაკრძალული, ნიგაზეულელი რეზო ხიმშიაშვილის საცხოვრებელი სახლიდან კარგად რომ მოჩანს

- ოჯახში ოთხი ძმა და ორი და ვიზრდებოდით. მშობლები სელიმის გმირობასა და შერიფის ღვაწლზე ზამთრის გრძელ ღამეებში გვიყვებოდნენ. მამა ამაყობდა, რომ მათი შთამომავალი იყო. ამის მოყოლას რომ დაასრულებდა, მამას კითხვებს ვუსვამდით. თუ კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვერ გაგვცემდა, ნიგაზეულელი სწავლულების დახმარებით, პასუხს მოამზადებდა, ბუხართან ჩამოჯდებოდა, მიგვიხმობდა და წინა დღით დაწყებულ საუბარს გააგრძელებდა. ასაკში რომ შევედი, შვილებსა და შვილიშვილებს მამასავით გულგახსნილად ვესაუბრებოდი. მამა ნანობდა, თავის დროზე კლასიკური განათლება რომ ვერ მიიღო და შვილებს წიგნს გვაყვარებდა. სოფლის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი იყო. ნიგაზეულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, წიგნების მაღაზიაში დავიწყე მუშაობა. მე და მაყვალა ერთმანეთს სიყვარულში რომ გამოვუტყდით, იმ წიგნებს ვჩუქნიდი, რომელსაც მამა აქებდა. ის ლიტერატურა საოჯახო ბიბლიოთეკას ახლაც ამშვენებს, მრავალი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული.

- ახალ წელს ყველა ქართული ოჯახი შესაბამისი რიტუალებით ხვდება. ოჯახური ტრადიციიდან რა დაგამახსოვრდათ?

- წინაპრებს ოჯახში ახალი წლის პირველ დღეს ცხვარი შემოჰყავდათ, იგი გამრავლებასთან, სიუხვესთან ასოცირდებოდა. ჩემს ბავშვობაში თითქმის ყველა ნიგაზეულელს ჰყავდა ცხვარი. ახლა ნიგაზეულში კი არა, მთელ შუახევში თხა და ცხვარი სანატრელი გახდა. ახალი წლის დღეებში დედა ფქვილს არ გაცრიდა - ოჯახში ბუზს ვეღარ მოიშორებო. მამა შეშას არ მოათრევდა - გველები და სხვა ქვეწარმავლები ეზოს აღარ მოშორდებიანო. დილაადრიან ბოსელშიც შეივლიდნენ, პირუტყვს ზურგზე ჯაჭვს გადაატარებდნენ - ასე გადაბმულად იქნებიან საბალახოდ გასულებიო. სიმინდის მოხარშვა, ოჯახის წევრებისა თუ ცხვარ-ძროხისთვის მირთმევა დიდ მადლად ითვლებოდა. სხვათა შორის, სიმინდი ჩემს ოჯახში ახლაც იხარშება. ბოსელში, ყველა ოთახში, ნალიასა და საბძელში წყალსა და ნაძვის ტოტებს ჩამოარიგებდნენ - სიწმინდე და სიცოცხლე დაისადგურებსო. მე და ძმები მეზობლების მფერხავები (მეკვლეები) ვიყავით, ოჯახში კი მეზობლის ბიჭები შემოგვყავდა. ოჯახებში გადასპატიჟება ნაკლებად იყო. ჩვენი ოჯახი 10 წევრს ითვლიდა და სხვასთან გადასასვლელად დრო არ გვრჩებოდა. სტუმარი კი მშობლებსა და ბავშვებს ძალიან გვიხაროდა. დღემდე ასე ვართ.

- თითქმის ნახევარი საუკუნეა შეხმატკბილებული ოჯახი გაქვთ. რაა მთავარი ოჯახური იდილიისთვის?

- პირველ რიგში. შვილთმრავლობა ჩვენ ექვსნი ვიყავით, ჩემი მეუღლის მშობლების სევიე და ხასან დავითაძეების ოჯახში 4 ქალიშვილი და ერთი ვაჟი გაიზარდა. საბედნიეროდ, ყველანი ცოცხლები ვართ. დედმამიშვილებს გვიყვარს ერთმანეთი და ვაფასებთ. იმ წლებში, როცა ძმა ბეჟანი თბილისში მოსამართლე იყო, მის ოჯახში სტუმრობა შვილებისთვის: შორენას, ნათიას, მამუკასა და რაულისთვის ზეიმი იყო. შთამომავლობა სანათესაოს კრძალვითა და რიდით რომ ეპყრობოდეს, მათ საქმეებს ეცნობოდეს, წელიწადში ერთხელ, რომელიმე დედმამიშვილის ოჯახში ვიკრიბებით. ჯერჯერობით, უცვლელი თამადა ბეჟან ხიმშიაშვილია. ზოგიერთებს მეუღლის ქებაზე ეცინებათ. მე კი ვიტყვი, რომ გამიმართლა, ჩემს შრომისმოყვარეობას მაყვალას თანადგომა რომ არ შერწყმოდა, ასეთ ცხოვრებას ვერ მოვიწყობდით. მამისეული ოჯახიდან რას წამოვიღებდი, დიდი არაფერი იყო. მშობლები მთელ ძალისხმევას ჩვენს სწავლა-განათლებას ახმარდნენ და სწორადაც იქცეოდნენ. ადამიანისთვის საფუძვლიანი განათლება და წიგნიერებაა მთავარი. ვაზი, ხეხილი, მიწასთან ფუსფუსი მიყვარს, მაგრამ 75 წელს გადაცილებული, წიგნს ვერ ველევი. მეუღლე, კერიაზე დარჩენილი ვაჟი რაული, რძალი ნატო დარჩიძე კარგად მიგებენ. მჯერა, სიცოცხლის ბოლომდე ასე იქნება. თავის დროზე მრავალწევრიან ოჯახს დაბის ცენტრში სამოთახიანი კომუნალური ბინა მოგვცეს. გავიგე, რომ საცხოვრებელი სახლი და მცირე ეზო იყიდებოდა. მეუღლე და შვილები დავითანხმე, ოჯახის ბიუჯეტშიც დანაზოგი თანხა გვქონდა და... კომუნალური ბინიდან საკუთარ სახლში გადმოვბარგდით, ერთ დროს მოუვლელი და ხრიოკი ტერიტორია ბაღნარად ვაქციე.

- სოფელს, მთას ადამიანები ტოვებენ და ქალაქში სახლდებიან...

- ვიდრე ცოცხალი ვარ, აქაურობას ვერ დავტოვებ. ეს ლიტონი სიტყვები არაა. იტყოდნენ: ვაზმა მეგობრობა იცისო. ეს ნათქვამი პირადად გამოცადე. ციცაბო ფერდობზე ტერასები გავიყვანე, მიწა გავანოყიერე და ვაზი ჩავყარე. მანაც იხეირა და ოჯახსაც გვახეირებს. წელს აჭარის მთიანეთში გვალვები იყო. მევენახეებს ვაზი გაუნადგურდათ. მე 3 ტონამდე ყურძენი დავკრიფე იმ ტერიტორიაზე, რომელიც 15 წლის წინ ქვეწარმავლებისა და ტურების საბუდარი იყო. ვაზის მსგავსად ხეხილსაც ვუვლი. ამას მივატოვებ ახლა? მამუკას საცხოვრისი ჭარნალში მივუჩინე, შორენა ბათუმში, ბარცხანაში ცხოვრობს, საკუთარი სახლი აიშენა და ეზო მოიწყო, ნათია თხილნარში დასახლდა, რაული, ჯერჯერობით, შუახევში რჩება, პოლიციის სამმართველოში მუშაობს და მალე მაიორის წოდებასაც მიიღებს. შვილები დასაქმებულნი არიან. შორენა და ნათია, დედის მსგავსად, ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან. მამუკა კერძო სექტორში საქმიანობს. 9 შვილიშვილისა და შვილთაშვილის მომსწრე ვარ.

- განვლილ წელს თუ ემადლიერებით?

- სასაყვედურო არაფერი მაქვს. მიხარია, რომ ქვეყანამ წელი მშვიდობით დაასრულა. გლობალიზაციის ეპოქაში საქართველოს ბედი მადარდებს და მათ პოზიციას ვიზიარებ, ვინც ქვეყნის გადარჩენისთვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ძალას, უნარსა და შესაძლებლობას არ ზოგავს. განვლილმა წელმა მრავალი ადამიანის მსგავსად, ჩემს ცხოვრებაშიც დაუვიწყარი დღე დატოვა, - ეს იყო «საპატიო შუახეველის» წოდების მიღება. როცა სცენაზე მიმიწვიეს და დიპლომი გადმომცეს, მიგვდი, რომ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, გაწეული ამაგი დამიფასდა.

- თქვენი სურვილები...

- მსურს, რომ ჩემს ქვეყანას საღსალამათი, შრომისუნარიანი ქართველი არ ტოვებდეს, სოფლები აღარ ცარიელდებოდეს მაშინ, როცა ნიგაზეულში საავტომობილო გზა, სასმელი და სარწყავი წყალი, დენი, სხვა ინფრასტრუქტურა სანატრელი იყო, ადამიანები იქ ცხოვრობდნენ, წინაპრების საძვალეებს პატრონობდნენ. საშუალო სკოლას რომ ვამთავრებდი, სოფელში დენი მაშინ შემოვიდა. თითქმის შვიდ კილომეტრზე განფენილი ნიგაზეულის ყველა უბანში დღეს ასფალტ-ბეტონიანი გზებია. მეცენატ თეიმურაზ კომახიძის ინიციატივით, სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი წყანიშურის უბანში მოეწყო და ტურისტულ ობიექტად იქცა. ქვეყნის, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოების, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ნიგაზეულის ციხესიმაგრის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები გაისად დაიწყება. ადგილობრივი ბიუჯეტით ნიგაზეულის ცენტრის კეთილმოწყობაცაა დაგეგმილი. მარტო სოფლის სახეცვლილებაზე აქცენტს არ გავაკეთებ. დაბა შუახევში წარსულს ჩაბარდა ერთ დროს ტალახიანი ქუჩები, მოუვლელი სკვერები, კედლებჩამოშლილი კულტურის სახლის შენობა, ადრე ბაყაყების ბუდედ ქცეული ახლანდელი სტადიონის ტერიტორია. ყველა შუახეველს საამაყოდ გვაქვს, რომ უკვე მისი გახსნა «შუახევობის» დღესასწაულზე ვიზეიმეთ. მინდა ხარაჩოჩამოხსნილი კულტურის სახლი, მუზეუმის, ბიბლიოთეკისა და გასართობი ცენტრის შენობები დასრულებული, მის შემოგარენში არსებული სკვერები კეთილმოწყობილი ვიხილო. იმ დღესაც მინდა მოვესწრო, როცა ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხულო-ზარზმის და ხიჭაური-ჩანჩხალოს ხიდის მონაკვეთების სრული რეკონსტრუქცია დასრულდება. დიდ საქმეებში უცხოელი პარტნიორების, ქველმოქმედი ორგანიზაციების თანადგომაც არ გვაკლია. რძალი ნატო დარჩიძე ა(ა)იპ «დღის ცენტრის» აღმზრდელ-პედაგოგია. ეს დაწესებულება ფრანგების ხელშეწყობით გაიხსნა. იმ ოჯახებს, სადაც შშმ ბავშვები არიან, საშუალება აქვთ, შვილები გარკვეულ აქტივობებში ჩართონ. ასეთი დანიშნულების ცენტრები ქვეყნის მასშტაბითაც კი ერთეულია. ჩემი საცხოვრებელი სახლი დაბა შუახევში მშენებარე საჯარო სკოლის და მუსიკალური სკოლის მომიჯნავედაა. გაისად ეს საგანმანათლებლო კერები აღსაზრდელებსა და მათ პედაგოგებს მიიღებს. ვითხოვთ - კეთდება, სურვილი გვიჩნდება - გვიკმაყოფილებენ.

შობა-ახალ წელს მივულოცავ თქვენი გაზეთის ჟურნალისტებსა და მკითხველებს. «აჭარის» აქტიური მკითხველი ვიყავი და ვიქნები.

ბსუ-ის მეცნიერები დაჯილდოვეს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ღია მეცნიერების“ კვირეულის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, მეცნიერებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ხანგრძლივი, ნაყოფიერი საქმიანობისთვის ბსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები და მკვლევარები სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა მეცნიერებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა, ნაყოფიერი მოღვაწეობისა და მეცნიერების ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციისთვის მადლობა გადაუხადა, წარმატებები უსურვა და სხვადასხვა ნომინაციაში დააჯილდოვა.

ღონისძიებაზე ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორმა როინ მალაყმაძემ, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორმა გურამ მემარნემ და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორმა ნინო მხეიძემ შეკრებილ საზოგადოებას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიღწევები გააცნეს.

დაჯილდოების ღონისძიებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა, უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ზაზა მარუაშვილთან ერთად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტსა და ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს კვლევებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების მეცნიერ-თანამშრომლები: **ნუნუ კუტალაძე, დარეჯან ჩიქოვანი, ავთანდილ მესხიძე** და ბსუ-ის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი **ნანული ნოდაიდელი** დაჯილდოეს.

ბსუ-ის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა მეცნიერები შემდეგ ნომინაციებში დაჯილდოვა:

მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევისთვის - ნოდარ კახიძე; ევროპულ საგრანტო პროექტში აქტიური ჩართულობისთვის - ზოია სიხარულიძე, იზოლდა მაჭუტაძე, რუსლან ბარამიძე, სულხან მამულაძე; ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის წარმატებულად განხორციელებისთვის - **ირინე ვარშალომიძე, ლია ქოიავა, მერაბ არძენაძე, ნელი ხალვაში, ციალა ნარაკიძე;** საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის წარმატებულად განხორციელებისთვის - **ოლეგ ჯიბაშვილი, მარიამ მეტრეველი, დალი ქამადაძე, ელზა ფუტკარაძე;** მნიშვნელოვან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის - **ნარგიზ ახვლედიანი, მაკა მურადაშვილი;** დოქტორანტების წარმატებული ხელმძღვანელობისთვის - **მარიამ მეტრეველი, გალინა მეფარიშვილი, ალეკო კალანდია.** მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით გაწეული საქმიანობისთვის - **თამილა ლომთათიძე, ნინო კიკნაძე, რუსლან დავითაძე, მაია ჭიჭილეიშვილი, ირაკლი მიქელაძე, ნაილა ჩელებაძე;** შავი ზღვის კვლევებში მიღწეული შედეგებისთვის - **რეზო ბორაძე, ნინო კიკნაძე;** საუკეთესო სამეცნიერო ლაბორატორიის შექმნისთვის - **გალინა მეფარიშვილი, ალეკო კალანდია, ზურაბ მიქელაძე, რაულ გოცირიძე, გურამ პაპუნიძე;** ციტირებადი პუბლიკაციებისთვის - **იზოლდა მაჭუტაძე, ზოია სიხარულიძე, ქეთინო ნაცარიშვილი, ალეკო კალანდია;** წარმატებული სამეცნიერო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის - **გურამ მემარნე, ნინო მხეიძე, როინ მალაყმაძე“**, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

„ჩემი თინეიჯერული წინასაახალწლო განწყობა“, ანუ მოუსმინეთ შვილებს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

დიდი ხანია ვმეგობრობ ერთ ნიჭიერ ბათუმელთან - ნადია გუნდაძესთან (სხვათა შორის, ის ჩემი სულიერი დაცაა). ვინც მასთან სოციალურ ქსელშიც მეგობრობს, ალბათ, ხშირად კითხულობს პოსტებს, რომელიც სკოლაში მის საქმიანობას უკავშირდება - ეს არის ამონარიდები მოსწავლეების შესრულებული თემებიდან ხან - სახალისო, ხან სევდიანი პწკარები. სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ყოველთვის სიამოვნებით ვეცნობი მათ

ნადია გუნდაძე 12 წელია, სკოლაში ასწავლის, ამჟამად ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასში“. მანამდე სხვადასხვა დაწესებულებაში - აჭარის ტელევიზიაში, მერე რადიოში ჟურნალისტად მუშაობდა. იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი. ამიტომ ჩვენ, ჟურნალისტები, მას კარგად ვიცნობთ. ნადია ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიურობით, კრეატიულობით. წინა სამსახურების გამოცდილება შესანიშნავად გამოიყენა სკოლაში. აქ მოსვლის პირველივე დღიდან ცდილობს სასწავლო პროცესი საინტერესო და სახალისო გახადოს თანამედროვე მიდგომებით. ამბობს, რომ თუ დღეს მასწავლებელი ყოველმხრივ განათლებული არ ხარ, ბავშვებთან ურთიერთობა გაგიჭირდება. თვლის, თუ კლასში სწავლისადმი განწყობა არ შეიქმნა და ბავშვებს მოსმენა არ უნდათ,

ესე იგი, შენ - პედაგოგმა რაღაც ისე ვერ გააკეთე მათ დასაინტერესებლად. შეკითხვაზე, რა სჭირდება თავად მასწავლებელს, წარმატებული რომ იყოს და მოსწავლეებსაც უყვარდეს, გვიპასუხა, რომ პედაგოგს ყველაფრის ცოდნა სჭირდება, რადგან ბავშვი ინტერნეტის საშუალებით თავად გახდა გლობალური პიროვნება და მარტო ერთი კონკრეტული საგნის სწავლა აღარ აინტერესებს. მან უნდა დაინახოს, რომ შენც განათლებული პიროვნება ხარ. ბავშვს ყოველ წამს რაღაც სიახლე აინტერესებს და ამაში აქტიურად და ღრმად უნდა ჩაერთო, უპასუხო. ამიტომ ცდილობს ნადია გუნდაძე, გაკვეთილები გაათანამედროვოს, სწავლების პროცესი საინტერესო გახადოს, მისი მოსწავლეები სკოლის გარე პროექტებშიც ჩართოს. სწორედ მისი მხარდაჭერითა და თანადგომით მიიღეს მონაწილეობა რეჟისორ სოსო სტურუას შემეცნებით ფილმ „ფარნავაზიადას“ გადაღებაში, სადაც ჟურნალისტებად მოგვევლინენ. ფილმი ძველი წელთაღრიცხვის საქართველოს მეოთხე-მესამე საუკუნეებს მოიცავს, ფარნავაზის დაბადებამდე, ასევე, მისი მოღვაწეობის პერიოდს. მოსწავლეებმა ძალიან კარგად შეისწავლეს ამ პერიოდის ისტორია და ჩვენამდე მოიტანეს.

ახლა კი გთავაზობთ ამონარიდებს ამ რამდენიმე დღის წინ სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ მეხუთე და მეცხრე კლასებში თავისუფალ („მორჩენილ“) წუთებში ნადია მასწავლებლის თხოვნით დაწერილი თემიდან - „ჩემი თინეიჯერული წინასაახალწლო განწყობა“, რომელიც ნადია გუნდაძის ინტერნეტპოსტში წავიკითხე:

„ისევ მომიწევს დავიწყებული პროდუქტის ამოსატანად ჩასვლა მაღაზიაში - ოცდამეთხუთმეჯერ“;

„დედა ისევ იტყვის, წელს ბევრს არაფერს ვაკეთებო და... ძალიან გრძელი სიით წავალთ მაღაზიაში“;

„როცა სანტასი მჯეროდა, მაშინ უფრო მეხალისებოდა ახალი წელი“;

„ყველაზე ძნელი ბოლო სამი საათის გაძლებაა, საჩუქრები რომ უნდა გახსნა“;

„მინდა, სტუმრები მალე წავიდნენ და ჩემს ოჯახთან ერთად გემრიელად ვჭამო“;

„რა მინდა? არაფერი არ მინდა, არაფერი მეხალისება“;

„ადრე ბებია გოზინაყს აკეთებდა, მე ვუყურებდი, მიყვარდა პატარ-პატარა ნაწილების მოტეხვა, ახლა ბებია აღარ აკეთებს - გოზინაყს ვყიდულობთ“;

„წელს განსაკუთრებით მიხარია, რადგან შევქმენი მოწყობილობა, რომლითაც შევძლებ სანტას გამოჭერას“;

„თინეიჯერობა, გარდატეხის ასაკი და ახალი წლის მოსვლა - ვერცერთს ვერ ვგრძნობ, არ ვიცი, რა უნდა ვიგრძნო, ცოტა სიმაღლეში მოვიმატე და ეგაა. წინასაახალწლოდ? ვფიქრობ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც აქამდე“;

„მე ძალიან მიყვარს ახალი წლის მოსვლა, მიხარია, რომ ამ დღეს მამასაც სცალია და ყველანი ერთად ვართ“;

„მამა ნაოსნობაშია. ვფიქრობ, რა კარგი იქნება, სიურპრიზი მოგვიწყოს და ნაძვის ხესთან დამალული დამხვდეს“;

„ვერაფერს ვგრძნობ, მაგრამ უნდა გავიღიმო, ვითომ მიხარია - დედას რომ არ ეწყინოს. კიდე... ვფიქრობ იმას, რომ ძალიან მაგარი ვარ ფილოსოფიაში და ძალიან კარგი ლიტერატურული გემოვნება მაქვს“...

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენი მომავალი თაობისთვის ახალი წელი, ყველასთვის, თითოეული ოჯახისთვის!

სტუდია „ნიკეს“ წარმატება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სამეჯლისო სპორტული ცეკვის სტუდია „ნიკე“ 2016 წლიდან არსებობს. მათ უნარიანად ხელმძღვანელობენ პედაგოგები ნიკე კეშელავა და ანტონ ჩერუშევი. ამ ხნის განმავლობაში მათმა აღზრდილებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე მის ფარგლებს გარეთ

ახლახან „ნიკეს“ აღსაზრდელებმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან, სამეჯლისო სპორტული ცეკვების კონკურსში - „ჯორჯია ოუფენ“ მიიღეს მონაწილეობა, რომელიც თბილისში ჩატარდა. მასში, საქართველოს გარდა, სომხეთის, უკრაინისა და ბელარუსის მოცეკვავეები მონაწილეობდნენ.

სტუდია „ნიკეს“ 25 მოცეკვავე იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. ისინი სხვადასხვა კატეგორიაში გამოდიოდნენ - მათ ბათუმში ცხრა თასი, ათი - ოქროს, ხუთი - ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს. „ნიკეს“ წარმომადგენლებიდან 21 მოცეკვავე გადავიდა ფინალში, ჩვენმა მოცეკვავებმა 27 პირველი ხარისხის დიპლომიც დაიმსახურეს.

ერთ-ერთი გამარჯვებული 12 წლის ლილე ჩართოლანია. მან ოთხ ცეკვაში, რომელშიც 19 კონკურსანტი მონაწილეობდა, პირველი ადგილი აიღო, ხოლო ექვს ცეკვაში - მეორე.

მითი და რეალობა - როგორ ხვდებიან კატა-კურდღლის წელს?

ზიძრია დავლაძე 597 25 25 72

კატა-კურდღლის წელი, ზოდიაქოს სხვა ნიშნების მსგავსად, 12 წელიწადში ერთხელ დგება. უმეტეს ქვეყანაში 2023 წელს კურდღლის, ხოლო ზოგან კატის სახელწოდებით აღნიშნავენ. ორივე შემთხვევაში სიმყუდროვის, ჰარმონიის, სიმშვიდის წელიწადად მიიჩნევა. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ შავი კურდღლის წელს კომფორტულად, შინაურ გარემოში უნდა შეხვდნენ, სადაც ძირითადად, მეგობრების, ახლობლებისა და ოჯახის წევრების გარემოცვა იქნება. მთავარია, ამ წელს ადამიანები ერთმანეთის მიმართ მხიარულები და გულწრფელები იყვნენ.

ვინაიდან კურდღელი ფრთხილ და მშიშარა ცხოველად მიიჩნევა, დეტალების გათვალისწინება ყველაფერში აუცილებელია. არადა, ამბობენ, რომ ამ წელს დაბადებული ადამიანები დამოუკიდებლები და თავისუფლების მოყვარულნი არიან. რა უნდა გააკეთოთ ახალი წლის დადგომამდე? - აღმოსავლური ტრადიციებით, სასურველია კურდღლის ფიგურის შეძენა, კარგი იქნება თუ ფიგურა ოქროსფერი იქნება და იგი მონეტებზე იჯდება. კიდევ უფრო რომ დაიმუხტოს დადებითი ენერგეტიკით, ფიგურა ისე უნდა დაიდგას, რომ მას მზის შუქი ეცემოდეს, ხოლო თუ ურთიერთობაში მოთმინებისა და კეთილგონიერების გამოჩენას მიიჩნევთ პრიორიტეტად, ასეთ შემთხვევაში კურდღლის ისეთი ფიგურის შეძენაა სასურველი, რომელიც უკანა თათებზე დგას. ფინანსური წარმატებისთვის კი კურდღელს სტაფილო უნდა ეჭიროს თათებით. ამ რჩევებს იმ ოფიციალურ ინფორმაციაში ვკითხულობთ, სადაც ზოდიაქოების თვისებებზე ბევრს წერენ. რაც შეეხება ხალხში გავრცელებულ ჩვეულებებს, კურდღლის წელთან შესახვედრად კარგია საზეიმო სუფრის მორთვა სტაფილოსფერ ტონებში, ბეწვიანი გადასაფარებლებისა და მორთულობების გამოყენება, სუფრაზე ისეთი კერძების სიმრავლე, რაც კურდღელს უყვარს. ხალხში დამკვიდრებული შეხედულებით, კატა-კურდღლის წელი ფეხბედნიერი და წარმატებული იქნება. სინამდვილეში მთავარი განწყობაა და ის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც საახალწლო ფუსფუსისა და ახალი წლის დადგომის დროს გვექნება. ახლობლებისთვის საჩუქრების გადაცემა, გახარებული და ბედნიერი ბავშვები, მოხუცებისთვის მინიჭებული სიხარული, მივიწყებული შორეული ნათესავების მონახულება და ახლოს მყოფი მეგობრების კიდევ უფრო დაახლოება - აი, ესაა ნამდვილი ბედნიერება, რაც მთელი წლის განმავლობაში დადებით ენერგიად ნაწილდება.

გადაბარგდება რუსეთი აზიაში?.. თუმცა იქაც ვის დაჰკარგვია!

აზიის კონფედერაციაში გადასვლის გადაწყვეტილება რუსეთის ფეხბურთის კავშირის აღმასკომმა ვერ მიიღო. ამ ნაბიჯის გადადგმის მიზანშეწონილობას სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი 2023 წლის მარტამდე განსაზღვრავს. რუსეთის აზიის კონფედერაციაში მიღების წინააღმდეგია ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი ბონიტა მერსიადესი.

„რუსეთის უეფაში ან აზიის კონფედერაციაში ყოფნა არავითარ როლს არ თამაშობს ძირითად საკითხში, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდა აეკრძალოთ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. ისინი ადამიანის უფლებებს და დადგენილ წესებს პატივს არ სცემენ. ამდენად, რუსეთმა საკუთარ თავს თავად ჩამოართვა უფლება, იყოს მსოფლიოს სპორტული თანამეგობრობის ნაწილი. მართებული იქნება ფიფას კითხვა დავუსვათ - აქამდე საერთოდ რატომ არ გარიცხეს თავისი რიგებიდან?“, - ციტირებს მერსიადესს „გარდიანი“.

ამირან გურიელიძე

პუტინი ჟურნალისტებთან არ ისაუბრებს

რუსეთის პრეზიდენტის სპიკერ დიმიტრი პესკოვის თქმით, გრიპისა და „კორონავირუსის მუტაციების“ გამო, პუტინი კიდევ დიდი ხანი არ ისაუბრებს ჟურნალისტებთან. „სიმართლე გითხრათ, არა მგონია, უახლოეს პერსპექტივაში ის [პუტინის მედიასთან საუბარი] ზუსტად ისეთივე იყოს, როგორც პანდემიამდე იყო. ასეთ პირობებში პრეზიდენტის ჯანმრთელობა სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხია, ამიტომ მოლოდინი, რომ მალე ისევე იქნება, როგორც ადრე, მცდარი იქნებოდა. გიპასუხებთ: არ იქნება“, - განაცხადა პესკოვმა.

მისი თქმით, „მიმდინარეობს კორონავირუსის მუტაციის პროცესები და გრიპის სხვადასხვა შტამის ძლიერი ეპიდემიოლოგიური ტალღები“, ამიტომ მათ, ვინც პასუხს აგებს პუტინის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, „უსაფრთხოების ზომები“ უნდა მიიღონ.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 30/12/22, 23 ¹⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ახალი წელი – თამარ გუდავასთან

დარინა გაბაიძე 27 48 93

ახალი წლის ტრადიცია საქართველოში მრავალფეროვანია და ქვეყნის ყოველი კუთხე განსხვავებულად აღნიშნავს. ახალი წლის ჯადოსნურ დღესასწაულზე და მის მნიშვნელობაზე გვესაუბრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი თამარ გუდავა

- ახალი წელი მიყვარს, იგი ბავშვობიდან უკავშირდება ჩემთვის რაღაც ახალ, ჯადოსნურ და ბრჭყვიალა მოვლენებს. გამონაკლისი არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ყოველთვის ვხვდებით ოჯახში, პატარაობიდან - მშობლებთან, ახლა უკვე მეუღლესთან და შვილებთან ერთად. ეს არის ტრადიცია. ძალიან მიყვარს საახალწლოდ გემრიელი, ამასთან, ლამაზად მორთული კერძების მომზადება. გამონაკლისია ახალი წელი, როცა ამას ვახერხებ, ამიტომაც რაღაცით გამოირჩევა ჩემთვის და ოჯახისთვისაც. ტრადიციულად ვჩუქნით ერთმანეთს საჩუქრებს, ახალი წლის დადგომისთანავე ვურეკავთ ახლობლებს, მეგობრებს მისალოცად. მეორე დღეს იწყება სტუმრობები, გადაპატიჟებები, სამსახურიდან გამომდინარე, ჩართული ვარ კონცერტების ორგანიზებაში, თუმცა მინდა, ეს დღეები მაქსიმალურად ოჯახს დავუთმო, რადგან მთავარი - ერთმანეთთან საუბარი გვაკლია. ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლა ადამიანური, პირადული ურთიერთობები, რომლებსაც არაფერი სჯობს.

- თქვენს საახალწლო სუფრას რა კერძები უნდა ამშვენებდეს?

- ჩვენთან, ტრადიციულად, დედა და ბებია აკეთებდნენ მეგრულ კერძებს, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მეგრული საცივი, ღომი, მეგრული სამზარეულოსთვის დამახასიათებელი სხვა კერძები, რომლებსაც მეც, არცთუ ისე ცუდად ვაკეთებ. ახლა ვისწავლე ქობულეთური „იახნის“ გაკეთება, რაც შეეძლოა, იციან კიდეც, რომ ვხვდები, მაგრამ როგორც მე, ისინიც თამაშობენ და ეს ძალიან მომწონს. ახალ წელს, ბიძაშვილებთან ერთად, სახლში ვხვდები, ერთ ეზოში ვცხოვრობთ და ყოველთვის ერთად ვართ. 12 საათის დადგომისთანავე ერთმანეთს მაგრად ვჭიდებთ ხელს და სურვილებს ჩავიფიქრებთ. მინდა გითხრათ, რომ ყველა სურვილი ამიხდა. რისიც ძალიან გჯერა, ის აუცილებლად აგიხდება. წელს მინდა, თოვლის ბაბუამ ძაღლი მაჩუქოს - თეთრი, ფუმფულა, პატარა ძაღლი, რომელიც ძალიან მეყვარება და როგორც საკუთარ თავს, ისე მოვუვლი. ყველა ჩემს თანატოლს ვულოცავ შობა-ახალ წელს, აგსრულებოდეთ ყველა ჩანაფიქრი.

ბეჭა დიასამიძე, 20 წლის:

- ახალ წელს ახალი ემოციები მოაქვს ჩემთვის. ძალიან მიყვარს და ვცდილობ, ამ დღეს პოზიტიურ განწყობაზე ვიყო. სამი წელია, მეგობრები ქალაქგარეთ სახლს ვქირაობთ და ერთად ვატარებთ დაუვიწყარ დროს. „სეკრეტ სანტას“ ვთამაშობთ და, შესაბამისად, საჩუქრებს ვახვედრებთ ერთმანეთს, რაც ძალიან ფერად განცდებთანაა დაკავშირებული. როგორც ბავშვობაში, ახლაც მჯერა, რომ ახალი წლის ღამე ჯადოსნურია, განსაკუთრებული ენერგეტიკის და როგორც გაატარებ, დაახლოებით ისეთი წელი გექნება, ამიტომ ვცდილობ, დადებითი ენერგიით ავივსო და ავავსო ირგვლივ მყოფებიც. დამდეგს გილოცავთ ყველას, უკეთეს ქვეყანაში გვეცხოვროს, საიდანაც წასვლა არასდროს მოგვინდება ახალგაზრდებს. მინდა, საქართველოში შეძლოთ ჩვენი ნიჭისა და შესაძლებლობების მატა ჩემს საახალწლო სუფრას. კერძების მომზადება ვიცი, მაგრამ რომ გითხრათ, მე ვაკეთებ, მოგატყუებთ, ჩემი დედამთილი ყველაფერს გაკეთებულს გვახვედრებს, მადლობა მას ამისთვის, მე მხოლოდ ვაფორმებ სუფრას. ჩემი კერძიც მაქვს საახალწლო სუფრაზე. ყველაზე უკეთ, ვფიქრობ, „იახნს“ ვამზადებ, თუმცა იმის თქმას ვერ გავბედავ, რომ ქობულეთელებზე უკეთ გამომდის. დედის უნიკალური ხაჭაპურის რეცეპტი მაქვს, თუმცა ახლა ჩაენაცვლა ჩემი დედამთილის ხაჭაპური - თხელი და გემრიელი, არ ვიცი, როგორ ახერხებს ასეთის მომზადებას, მეც მაქვს მცდელობა, რის გამოც შვილებისგან მოთხოვნა მივიღე - „მასტერ შეფში“ მივიღო მონაწილეობა.

- ახალი წლის მთავარ ატრიბუტს - ნაძვის ხეს რაც შეეხება, თუ გიყვართ მისი მორთვა და რამდენად ხართ ამ პროცესში ჩართული?

- ძალიან მიყვარს ნაძვის ხის მორთვა შვილებთან ერთად, თვითონ ამზადებენ სათამაშოებს და მიყვარს ამ პროცესის ყურება, ძალიან ხელმარჯვე გოგონები მყავს, განსაკუთრებით ანანო, ხატავს არაჩვეულებრივად, ნია მისი ინსტრუქციებით ხელმძღვანელობს. მათი ხელნაკეთი სათამაშოები ბევრი მაქვს და ვინახავ, თუმცა ახლებსაც ვყიდულობ. ბავშვობიდან გვეუბნებოდა დედა, რომ ყველა წელს ერთი ახალი სათამაშო მაინც უნდა შეგვეძინა, რაც აუცილებელი პირობა იყო.

- როგორი წელი იყო თქვენთვის 2022 და რას ელოდებით 2023 წლისგან?

- ძალიან საინტერესო და დატვირთული წელი იყო. პანდემიის მერე ბევრი სიახლე გვქონდა რეგიონში კულტურის მიმართულებით, მაგრამ მაინც მთავარია, ჯანმრთელად გვყავდეს ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები... მიუხედავად პირადი სიკეთეებისა, გლობალურად რთული წელი იყო, რა თქმა უნდა, ყველაზე მოქმედებს უკრაინაში მიმდინარე ომი. 21-ე საუკუნეში აღარ უნდა ხდებოდეს ასეთი საშინელება. დაე, მშვიდობა იყოს მთელ პლანეტაზე, მინდა, ვხედავდე ირგვლივ ჯანმრთელ და ბედნიერ ადამიანებს, დანარჩენი ყველაფერი იქნება. მინდა ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელ გაზეთ „აჭარას“ მივულოცო 2023 წლის მობრძანება, საყვარელს - არაერთი მიზეზის გამო. ხელოვნების უნივერსიტეტში ტელე-რადიოჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ჩემი პირველი წერილი სწორედ გაზეთ „აჭარაში“ დაიბეჭდა და პირველი ხელფასიც - 50 ლარი აქ ავიღე. იმ დროს სტუდენტისთვის ამ საკმაოდ დიდი თანხით მოვახერხე სამკაულის ყიდვა, რომელიც დღესაც მაქვს შენახული და როცა შევხედავ, ჩემს პირველ პუბლიკაციასა და პირველ გასამრჯელოს მაგონებს. სწორედ ამიტომ „აჭარა“ ჩემთვის მარტო ძალიან საყვარელი გაზეთი კი არა, ადამიანებია, რომლებმაც მაგრძნობინეს, რომ რაღაც საინტერესოს კეთება შემიძლია, უნარი მაქვს, ისეთი რამ დავწერო, რომელსაც ინტერესით წაიკითხავენ... ის, რომ ამ გაზეთს საუკუნოვანი ისტორია აქვს, იმას ნიშნავს, რომ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლოს. ვუსურვებ ბევრ ერთგულ მკითხველს, საქმეზე შეყვარებულ ჟურნალისტებს. ბევრი სასიამოვნო ამბავი მოხდეს ქვეყანაში, რათა გეწეროთ კარგ ისტორიებზე, სიახლეებზე, ბედნიერ და წარმატებულ ადამიანებზე!

როგორ ხვდებიან ახალ წელს ახალგაზრდები და სჯერათ თუ არა ამ დღის ჯადოსნუროობის?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ახალი წელი თითქმის ყველა ახალგაზრდას უყვარს, თუმცა ჩემ მიერ ქუჩაში, შემთხვევითობის პრინციპით გამოკითხულ ახალგაზრდებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ პირველი იანვარი ერთი ჩვეულებრივი, რიგითი დღეა

მათი არგუმენტი დაახლოებით ასეთია: „თუ შინაგანად მეზეიმება ან არ მეზეიმება, გარეთ რა დღეა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს“. მიუხედავად ამისა ახალი წელი ადამიანებისთვის ახალთან ასოცირდება. ყველა ცდილობს, რაღაც განსაკუთრებული სთხოვოს ღმერთს, ბავშვების შემთხვევაში - თოვლის ბაბუას, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ სურვილი შეუსრულდებათ. ჩვენი საყვარელი ბებია-ბაბუებიც ხომ იმას გვეუბნებოდნენ, ახალ წელს ჯადოსნური ძალა აქვსო. მახსოვს, როგორ ვდგებოდი ბავშვობაში ფანჯარასთან, ვხუჭავდი თვალებს და პირველ რიგში, იმ სურვილს ჩავიფიქრებდი, რომლის ახდენაც უფრო სწრაფად მსურდა. იმდენად მწამდა ახალი წლის ჯადოსნური ღამის, რომ ყველა სურვილი მთელი წლის განმავლობაში მართლა მისრულდებოდა.

რისი სჯერათ ახალგაზრდებს, როგორ ხვდებიან ახალ წელს და აქვთ თუ არა რაიმე ტრადიცია, რომელსაც ახალ წელს უკავშირებენ?

ანა ბერიძე, 14 წლის:

- ძალიან მიყვარს ახალი წელი. მიუხედავად იმისა, რომ გავიზარდე და ვიცი, თოვლის ბაბუა არ არსებობს, მშობლებთან დღემდე არ ვაღიარებ ამას, ვწერ სურვილებს და ფანჯარასთან ვტოვებ. ჯერჯერობით არც მშობლებს სურთ, გამიმხილონ რეალობა ან შესაძლოა, იციან კიდეც, რომ ვხვდები, მაგრამ როგორც მე, ისინიც თამაშობენ და ეს ძალიან მომწონს. ახალ წელს, ბიძაშვილებთან ერთად, სახლში ვხვდები, ერთ ეზოში ვცხოვრობთ და ყოველთვის ერთად ვართ. 12 საათის დადგომისთანავე ერთმანეთს მაგრად ვჭიდებთ ხელს და სურვილებს ჩავიფიქრებთ. მინდა გითხრათ, რომ ყველა სურვილი ამიხდა. რისიც ძალიან გჯერა, ის აუცილებლად აგიხდება. წელს მინდა, თოვლის ბაბუამ ძაღლი მაჩუქოს - თეთრი, ფუმფულა, პატარა ძაღლი, რომელიც ძალიან მეყვარება და როგორც საკუთარ თავს, ისე მოვუვლი. ყველა ჩემს თანატოლს ვულოცავ შობა-ახალ წელს, აგსრულებოდეთ ყველა ჩანაფიქრი.

ბეჭა დიასამიძე, 20 წლის:

- ახალ წელს ახალი ემოციები მოაქვს ჩემთვის. ძალიან მიყვარს და ვცდილობ, ამ დღეს პოზიტიურ განწყობაზე ვიყო. სამი წელია, მეგობრები ქალაქგარეთ სახლს ვქირაობთ და ერთად ვატარებთ დაუვიწყარ დროს. „სეკრეტ სანტას“ ვთამაშობთ და, შესაბამისად, საჩუქრებს ვახვედრებთ ერთმანეთს, რაც ძალიან ფერად განცდებთანაა დაკავშირებული. როგორც ბავშვობაში, ახლაც მჯერა, რომ ახალი წლის ღამე ჯადოსნურია, განსაკუთრებული ენერგეტიკის და როგორც გაატარებ, დაახლოებით ისეთი წელი გექნება, ამიტომ ვცდილობ, დადებითი ენერგიით ავივსო და ავავსო ირგვლივ მყოფებიც. დამდეგს გილოცავთ ყველას, უკეთეს ქვეყანაში გვეცხოვროს, საიდანაც წასვლა არასდროს მოგვინდება ახალგაზრდებს. მინდა, საქართველოში შეძლოთ ჩვენი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზება - პირველ რიგში, აქ უნდა ვიყოთ წარმატებულები და ბედნიერები.

ლაშა ბოლქვაძე, 21 წლის:

- მინდა, ყველა ქართველს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი და ყველა მიმართულებით წარმატებები ვუსურვო ჩემს ქვეყანას. მართალი გითხრათ, ახალი წელი არ არის ის დღე, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარს. თუ შინაგანად ბედნიერი ხარ, დღეს არ აქვს მნიშვნელობა, თანაც, ყოველ ახალ წელს ვაცნობიერებ, რა სწრაფად გავიდა კიდევ ერთი წელი, რომელიც შესაძლოა, ვერ გამოვიყენე ისე ნაყოფიერად, როგორც უნდა გამომეყენებინა. მინდა, ირგვლივ არავის შიოდეს, ციოდეს და, ალბათ, მაშინ ვიქნები უფრო ბედნიერი ახალ წელსაც და სხვა დღეებშიც. ვისურვებ ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებას, რომ ახალგაზრდებს გვქონდეს იმდენი ხელფასი, ელემენტარული სურვილები დავიკმაყოფილოთ, მცირე საჩუქრებით მაინც გავახაროთ დედა, მამა, და, ძმა, შეყვარებული... როცა ამის საშუალება არ გაქვს, მიუხედავად იმისა, რომ თავდაუზოგავად შრომობ, მომიტევეთ, მაგრამ არც ახალი წელი მეხალისება. ვულოცავ ჩემს ბათუმს, ბათუმელებს, ქვეყანას და ვისურვებ, საქართველოში თითოეულმა მოქალაქემ თავი ღირსეულად იგრძნოს.

მარიამ კაკალაძე, 24 წლის:

- ტრადიციად გვაქვს სამეზობლოს - ყველას ოჯახში შევდივართ და ვულოცავთ ახალ წელს. მომწონს ეს, საოცარი ძალა აქვს საზეიმო განწყობის ერთმანეთისთვის გაზიარებას. მიყვარს ახალი წელი, მეც და ჩემი შვილებიც საზეიმო სამოსს ვიცვამთ და გვჯერა, მთელი

წელი ბედნიერები და გახარებულები ვიქნებით. გილოცავთ! ბედნიერების, ხვავის, სიკეთისა და მეტი სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2023 წელი თითოეული თქვენგანისთვის.

ზაზა ცინცაძე, 17 წლის:

- დაგეგმილი მაქვს, ახალ წელს მეგობრებთან ერთად რესტორანში შევხვდე. რადგან ამ დღეს ზეიმია მთელ ქვეყანაში, მეც მინდა შევუერთდე ზოგად განწყობას, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩემს დაბადების დღეზე მეტად მიყვარს. რაიმე განსაკუთრებული რიტუალი არ მაქვს. მიმაჩნია, რომ სურვილების შესრულება ჩვენს შრომაზეა დამოკიდებული, ლანგრით მორთმეულს არაფერს ველი. რეალისტი ვიყავი და ვარ, არ მჯერა ცის გახსნის, მეტიც, მეღიმება კიდეც იმათზე, ვისაც სჯერა, თუმცა, ადამიანები იმიტომ ვართ განსხვავებულები, რომ გაგვაჩნია საკუთარი აზრი, რწმენა, მოვლენებისადმი დამოკიდებულება.

თამთა შაინიძე, 24 წლის:

- ძალიან მიყვარს ახალი წელი და მჯერა, ამ დღეს ჩაფიქრებული ყველა ნატვრა ამიხდება. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: შარშან ბებომ ძალდატანებით მიმიჩინა ადგილი მაგიდის ქვეშ და მითხრა, ოჯახის შექმნა ჩამეფიქრებინა. რა თქმა უნდა, ბებოს არ ვაწყენინე, 12 საათამდე რამდენიმე წამით ადრე მოვკალათდი მაგიდის ქვეშ და დავალებული სურვილი ჩავიფიქრე. არ ვიცი, დამთხვევა იყო თუ არა, მაგრამ იმ წელსვე ვიპოვე გულისსწორი და დღეს ბედნიერი ვხვდებით 2023 წელს. აგსრულებოდეთ ყველა ჩანაფიქრი, ჯანმრთელები და ბედნიერები ყოფილიყავით.

გაზეთი „აჭარაც“ გილოცავთ დამდეგ 2023 წელს, გისურვებთ წარმატებებით აღსავსე, ბედნიერ ცხოვრებას. ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ვიცხოვროთ ბევრად ძლიერ, ეკონომიკურად წელში გამართულ ქვეყანაში, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქე თავს დაცულად და ღირსეულად იგრძნობს, სადაც თითოეული ემიგრანტი სიხარულით დაბრუნდება და სამშობლოშივე შექმნის დოვლათს.